№ 193
კვირა, 30 ოქტომბერი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 193
კვირა, 30 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ქ. ოდესაში, 20 ოქტომბერს არეულობის დროს მოკლულ უნივერსიტეტის ლაბორანტის

ალექსანდრე გრიგოლის ძე კლდიაშვილის

მოსახსენებლად დღეს ანჩისხატის ეკლესიაში, 12 საათზე, გარდახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებიან გარდაცვალებულის მეგობრები.

კნეინა სუსანა და თავადი ივანე ჯორჯაძენი ამით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პანაშვიდი 22 ოქტომბერს დახოცილთა

თავ. გიორგისა და კნეინა ლელი |ეკატერინე| ვაჩნაძეთა

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება ნიკოლოოზის ეკლესიაში, ჩუღურეთში, ორშაბათს, 31 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე. (1—1)

ბეჟან როსტომის ძე საბახტარიშვილი, მეუღლე მისი პელაგია იაკობის ასული, იასონ კონსტანტინეს ძე და ალათია კონსტანტინეს ასული საბახტარიშვილები, ალექსანდრე საბახტარიშვილი, გიორგი, ილარიონ და მიხეილ საბახტარიშვილნი და გიორგი ელიავა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი და მეორე—ძვირფასის შვილის, მეორე და მესამე—ძმისა, მეოთხე—ძმისწულის, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე—ბიძაშვილისა და მერვე—ცოლის ძმის

ანდრია ბეჟანის ძის საბახტარიშვილის

გარდაცვალებას. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ ფოთში, საკუთარ სახლიდან, ნაშუადღევის 3 საათზე 30 ოქტომბერს.

რადგან ექიმთა
ნევფონოვისა და ზიკეევის
კბილის საექიმო სკოლაში მეცადინეობა იწყება
დღეს, 30 ოქტომბერს, 12 საათზე, სკოლის შენობაში, მიხეილის პროსპექტზე, მე-179 № სახლში, პარაკლისი იქმნება გადახდილი. მეცადინეობა 31 ოქტომბრიდან იწყება.

კვირას, 30 ოქტომბერს,
დილის 10 საათზე, ნაძალადევში
დანიშნულია
სახალხო მიტინგი
შესახებ გურიის ეხლანდელ მდგომარეობისა
მუშათა ორგანიზაცია.

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.
ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.
(20—10)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ვორონცოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ჟ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. ბძოლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. მ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ს. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
გ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
კვირას, 30 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება
პიკოვაია დამა
ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, ნოვოსპასსკაია, ნიკიტინსკაია, კარრი, მიშუცკაია, კარპოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი დონსკოი, კარელინი, ევლახიშვილი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი.
სამხედრო ორკესტრი კავკასიის 1 დ საპიორთა ბატალიონისა ბ-ნ რიხტერის ხელმძღვანელობით.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
დირიჟორი ლ. პ. შტეინბერგი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
მოწაფეების ბილეთები ყოველ დღე იყიდება „ლოკასიონის“ კასსაში, საღამოს 7¾ საათიდან.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ანონსი: სამშაბათს, 1 ნოემბერს, წარმოდ. იქნება
ნერონი
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა რუბინშტეინისა.
წინდაწინვე მიიღება ხელისმოწერა ახალ ოპერა „ზაზა“-ს ბილეთებზე „ლოკასიონის“ კასსაში.
ბილეთები იყიდება.

ვისი „დაპყრობა“ უნდათ?

ჩვენი ეჭვი გამართლდა,—გამართლდა, ჩვენდა სასიამოვნოდ და სასიხარულოდ: ის ხმები, რომ გურია აჯანყდა და ჯართან პირისპირ საბრძოლველად გამოვიდაო, არ გამართლდა,—ეს ხმები ძალზე გაბერილი და გადაჭარბებული გამოდგა. ქუთაისის გუბერნიის მმართველი ალ. ყიფშიძე ოფიციალურად აცხადებს, რომ გურიაში არავითარი აჯანყება არ მომხდარა,—მოხდა მხოლოდ პატარა შეტაკება მოძრავ კაზაკების რაზმთან, რომლის მსგავსი თითქმის ყოველდღე ხდება სხვაგანაც. გასკდა და გაჰქრა ის ბუშტი, რომელშიაც გურიის პოლიტიკურ აჯანყების ამბავი იყო გამოხვეული და ცხადად გამომჟღავნდა, რომ ადმინისტრაციას რწყილი აქლემად დაუსახავს და ჩვეულებრივი შეტაკება ცეცხლ-ანთებულ აჯანყებად მოსჩვენებია.

ეს ასეა, მაგრამ ეხლა საქმე ის არის, თუ რა გზას დაადგება და რას მოიქმედებს კავკასიის უმაღლესი მთავრობა. ჯარი უკვე გაგზავნილია გურიისაკენ და კიდევ გაგზავნასაც აპირობენ. მაგრამ ვის წინააღმდეგ, ვის დასაპყრობად და დასამორჩილებლად? გურიას არავითარი დაპყრობა არ ეჭირვება, რადგან იგი არავის არ განშორებია და არც უფიქრია განშორება და განცალკევება. ეს აზრი შეთხზეს და გაავრცელეს ზოგიერთ ბობოლა ბიუროკრატებმა, რომელნიც შემთხვევას უთვალთვალებენ, რომ ხალხის წინააღმდეგ სამხედრო ძალის ხმარება რაიმე საბაბით მაინც დაასაბუთონ და გაამართლონ; მათ სურთ, ხალხს უჩვენონ ჯარის ძალა და მზად არიან გაიხარონ, თუ ამისთვის ცოტათი მაინც შესაფერი შემთხვევა მიეცემათ.

მაგრამ თვითონ მთავრობა? რას ფიქრობს იგი, ვითარცა უმაღლესი ორგანო ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობისა? სურს მას სისხლი დაღვაროს და გურია ამოსწყვიტოს მხოლოდ იმისთვის, რომ მისი შვილები თავისუფლებისთვის იბრძოდნენ,—იმ თავისუფლებისთვის, რომელიც დღეს უკვე ხელმწიფის მანიფესტით შეურყეველ კანონად არის აღიარებული? თუ, პირიქით, იგი გულწრფელად მსურველია, როგორადაც არა ერთხელ გამოუცხადებიათ, ხალხის დამშვიდებისა და ამიტომ სწადიან ფაქტიურად ცნობა იმ მოქალაქობრივ პირობებისა, რომელშიაც არის შესაძლებელი და მოსალოდნელი კულტურულ ცხოვრების ნორმალური მსვლელობა და განვითარება?

ამ საკითხზე შეურყეველ პასუხს მოგვცემს ის გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს მთავრობა გურიის შესახებ. გურია არ აჯანყებულა,—მაშასადამე, საჭირო არაა მის „დასაპყრობად“ ჯარის გალაშქრება და გურიაში საომრად წასვლა. ყოველი ადმინისტრატორი, რომელსაც გულწრფელად სწადიან მანიფესტითაც აღთქმულ ძირითად რეფორმის განხორციელება, უნდა ცდილობდეს, რომ ეხლანდელ საზოგადო აღელვების ხანაში ჯარი და ხალხი ერთმანეთს არ შეაფეთოს და ტყვილა-უბრალოდ სისხლის ღვრა არ გამოიწვიოს. ხალხისა და შეიარაღებულ ჯარის ერთი მეორის წინ დგომა დღეს ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელსაც პატარა ნაპერწკალი ეჭირვება, რომ იფეთქოს და დიდ ცეცხლად გადაიქცეს. ამიტომაც ჯარის გაგზავნა გურიაში, თუნდაც ამ ჯარმა პირველადვე განუკითხავად სროლა და სოფლების აკლება არ დაიწყოს, არა თუ ხელს არ შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარებას, არამედ, პირიქით, გაამწვავებს საქმეს და შესაძლებელად გახდის იმ უბედურებას, რომელსაც ყოველი გონიერი ადამიანი უნდა უფრთხოდეს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ მთავრობამ უკანვე დააბრუნოს ის ჯარები, რომლებიც გურიაში გაგზავნეს და გურიიდან გამოიყვანოს ის სამხედრო ძალაც, რომელიც ამჟამად იქ არის. აი, ეს მდგომარეობა უნდა აუხსნას საბუთიანად ნამესტნიკს იმ დეპუტაციამ, რომელიც, როგორც გაიგეთ, მას უნდა წარუდგეს.

ეს იქნება ცდა საქმის მშვიდობიანად მოგვარებისა. თუ ეს ცდა ფუჭად ჩაივლის, ამასაც მალე დავინახავთ ყველანი და მაშინ გარემოების მიხედვით მოვიქცევით…

ამნისტია

ამნისტია ეტიმოლოგიურად ნიშნავს ხსოვნის წარხოცვას (სიტყვა ბერძნულია,—„ამნესტია“ დავიწყება). იურიდიულად ამნისტია არის სუვერენიული (უმაღლესი) აქტი, რომელიც სპობს დანაშაულობათა მთელ კატეგორიის წინააღმდეგ აღძრულ თუ ჯერ კიდევ აღუძვრელ დევნას, ისე როგორც—უკვე წარმოთქმულ განაჩენის სისრულეში მოყვანას. ამ აქტის მიზანია (იურიდიულად) დააცხროს, დააშოშმინოს და ჩააყუჩოს საზოგადოებრივი მღელვარება, რასაც მიზეზს აძლევდა და კიდევ მისცემდა მოხსენებულ დანაშაულობათა დევნა თუ დასჯა.

ამნისტია სრულიად განსხვავდება პატიება—წყალობისგან (помилованіе). უკანასკნელი ეხება ცალკე, განსაზღვრულ პიროვნებას და მის სასჯელს, დანაშაულობა კი ისევ დანაშაულობად რჩება. ამნისტია კი ეხება დამნაშავეთა მთელ კატეგორიას, ამასთანავე იგი ეხება, როგორც სასჯელს, ისე დევნას და სრულიად აბათილებს მთელ დანაშაულობას. ამნისტია აღიარებს, რომ ჩადენილი დანაშაულობა არასოდეს არ ყოფილა დანაშაულობა. ამიტომ ამნისტიის მოსარგებლეს უბრუნდება ხოლმე ყველა წართმეული უფლებები, სახელმწიფოსგან გადახდევინებული ყველა ჯარიმები, თუ სხვა ხარჯები.

ამნისტია მთელის მნიშვნელობით დგება მაშინ, როცა ინგრევა ძველი რეჟიმი და მის ნაცვლად მყარდება ახალი პოლიტიკური წყობილება. თუ გუშინ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლნი პოლიტიკურ დამნაშავეებათ იყვნენ მიჩნეულნი, დღეს იგინი, ახალის კანონით, საზოგადოებრივ მოღვაწეებად არიან აღიარებულნი, და, რა თქმა უნდა, მათი დევნა და დასჯა აუცილებლად იწვევს საზოგადოებრივ აღშფოთებას. აღმობრწყინდება თუ არა თავისუფლების პირველი სხივი, ხალხის გულ გონება უმალვე მიფრინავს იმათკენ, ვინც თავ-გამოდებულად იბრძოდნენ საქვეყნო საქმისათვის; ხალხს სწყურიან დაპატიმრებული თუ გადასახლებული მებრძოლნი თავიანთ შორის იხილოს მალე, და თუ იმათი განთავისუფლება არა ხერხდება მშვიდობიანის გზით, მაშინ ძალით ანთავისუფლებენ მათ. ასე იყო, მაგ., 14 ივლისს 1789 წ. საფრანგეთში; პარიზის აჯანყებულმა ხალხმა აიღო პოლიტიკურ დამნაშავეთა საპყრობილე, ბასტილია, დაანგრია იგი და თავისუფლებისათვის თავ-განწირული მებრძოლნი გულში ჩაიკრა. 14 ივლისი დღევანდლამდე საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია.

პსიხოლოგიურად მსგავსი მოვლენა ვიხილეთ ტფილისში 18 ოქტომბერს. პირველი თავისუფალი მანიფესტაცია დოსტოლრივ გამართა მეტეხის საპყრობილისკენ. ხალხი თითქოს ანგარიშს არ აძლევდა თავის თავს, თუ სად და როგორ მიდიოდა. სამხედრო ძალით გამაგრებულ ციხის აღება არ შეიძლებოდა ცარიელის ხელებით, მაგრამ ყველანი აჩქარებული, გულის ფანცქალით მიისწრაფოდნენ ციხისაკენ, რადგან ყველას სწყუროდა დაენახა ძვირფას ამხანაგ მეგობართა საყვარელი სახე, გადაეცა მათთვის თავისი აღტყინებული გრძნობანი და ეხარებინა თავისუფლების პირველი სხივი. როცა მანიფესტაცია მიუიდა მეტეხთან და მიდამო მოიცვა ხალხის აღტაცებულ მისალმების ყიჟინმა, მარსელიოზის ხმებმა და ძახილმა: „ძირს საზიზღარი ბასტილია“ საპყრობილის რკინის „რეშოტკებში“ გამოჩნდნენ პატიმართა გადაფითრებული, დატანჯული სახეები; იმათ ტუჩებზე ღიმილი უკრთოდათ და გულ-აჩუყებული სალამს აძლევდნენ დიად მანიფესტაციას. ტუსაღთა შორის განსაკუთრებით მოსჩანდა ერთი სახე უსაზღვრო გრძნობათა ღელვით შეპყრობილ ადამიანსა; ეს იყო ცნობილი მებრძოლი, ამ ბოლო დროს დაბრუნებული ციმბირიდან და ხელახლა დაპატიმრებული; ხალხი იძახდა კიდევ ერთ საყვარელ მებრძოლის სახელს, მარა იგი არსადა სჩანდა,

ციხესთან მანიფესტაციას გზა შეუკრა პოლიციამ და სალდათებმა. ხელად არჩეულ იქმნა დეპუტაცია საპყრობილის ადმინსტრაციასთან მოსალაპარაკებლად. ხალხმა დააბარა დეპუტაციას ასეთი მოთხოვნა: პოლიტიკური ტყვეები შეკრებილიყვნენ ერთად, რომ დელეგატებს მათთვის მიელოცნათ პოლიტიკური თავისუფლება და გადაეცათ ბეჯითი გადაწყვეტილება: უკეთუ 24 საათში ისინი ნებით არ იქნებოდნენ განთავისუფლებულნი, მაშინ ხალხი ძალით გაანთავისუფლებდა მათ. ციხის უფროსმა ეს გუბერნატორს გადასცა და რაკი პასუხი ძალიან იგვიანებდა, ხალხმა გადასწყვიტა მეორე დღეს შეიარაღებული მისდგომოდა საპყრობილეს.

მეორე დღეს, ადგილობრივმა მთავრობამ უკვე დაიწყო პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ ნაწილ-ნაწილ განთავისუფლება.

დღეს კავკასიაში და რუსეთში უკვე განთავისუფლებულია პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ ერთი ნაწილი; სახელდობრ ისეთი, ვინც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ დასჯილნი; [1]) ხოლო სასამართლოს განაჩენით დაპატიმრებულთ თუ გადასახლებულთ მიეცათ სხვადასხვა შეღავათები და სასჯელის შემცირება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამას არაფერი საერთო არა აქვს ამნისტიასთან; პირიქით, კიდეც ეწინააღმდეგება მის დედა-აზრს. სასჯელის შემცირება კი არ წარხოცავს დანაშაულობის ხსოვნას, უფრო აცხოველებს მას და მით იწვევს საზოგადოებრივ გულის-წყრომას და მოუსვენრობას.

ამნისტია სრულებით არ შეხებია პოლიტიკურ დამნაშავეთა მთელ რიგს, ეგრედ წოდებულ ტერრორისტებს, შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ ესენი მიაჩნიათ ანარქისტებად. დავანებოთ თავი იმას, რომ თვითონ ანარქისტებიც პოლიტიკურ დამნაშავეთა კატეგორიას ეკუთვნიან, თუმცა ეს ჯერ კიდევ აგრე არ არის ცნობილი არსებულ კანონმდებლობისაგან. ანარქისტები აღიარებენ ტერრორს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ყველა ტერრორისტი არ არის ანარქისტი.

ისტორიაში ტერრორი ყოველთვის წარმოშობილია, როგორც პასუხი მთავრობის ტერრორზე. რუსეთში ძლიერი ტერრორისტული პარტია არსებობდა 70-იან წლების მეორე ნახევრიდან 81 წლამდე. ეს იყო ეგრედ წოდებული ნაროდოვოლცების პარტია. ნაროდოვოლცებმა ტერრორს ხელი მიჰყვეს სწორედ მაშინ, როცა რევოლუციონურ აზრების ქადაგება, წერით თუ სიტყვით, სრულიად შეუძლებელი გახდა, როცა რევოლუციონერებს ყოველ ნაბიჯზე ფხიზლად სდარაჯობდა სარჩობელა, თოფით დახვრეტა, ქვის კუბო, შლისსელბურგი და სხ. მართალია, ნაროდოვოლცებს ფილოსოფიურ, თეორიული ნათესაობა ჰქონდათ ანარქისტებთან, მაგრამ ისინი რომ ანარქისტები არ ყოფილან, ამის დასამტკიცებლად საკმაოა გავიხსენოთ ნაროდოვოლცების ცნობილ აღმასრულებელ კომიტეტის განცხადება ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობის გამო. კომიტეტი ენერგიულად ჰგმობდა ანარქისტების ამ საზარელ საქციელს, შეჰნატროდა ამერიკის პოლიტიკურ მოქალაქობრივ წეს-წყობილებას, სადაც განმანთავისუფლებელ იდეების ქადაგებას ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი, და დასძენდა, რომ ამ გვარ ქვეყნებში ტერრორით მოქმედება მიუტევებელი და აღმაშფოთებელი დანაშაულობააო [2]).

ვინ არიან დღევანდელი ტერრორისტები რუსეთის იმპერიაში? მთელ განვლილ ისტორიაში სოციალ-დემოკრატიული პარტია პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო ტერრორისა. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, ის ენერგიულად უარჰყოფდა ბრძოლის ამგვარ საშუალებას. ტერრორისტები არიან რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერები, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ამ პარტიის ერთი ნაწილი, ეგრედ წოდებული „მებრძოლი ორგანიზაცია“. სოციალისტ-რევოლუციონერები თეორიულად ენათესავებიან ძველ ნაროდოვოლცებს, მარა არსებითად განსხვავდებიან მათგან, რადგან სოციალ-დემოკრატებთან ერთად აღიარებენ, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება თვითონ ამ კლასის საქმე უნდა იყოსო. სოციალისტ-რევოლუციონერებს იარაღი აიღებინა ხელში პლევეს [3]) რეჟიმმა. სოციალისტ-რევოლუციონერები იარაღს ხმარობდნენ თავის დასაცავად. ჩვენ გუშინდელ წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ თავის დასაცავად იარაღის ხმარება უფლებრივ წესწყობილებაში არ შეადგენს დანაშაულობას. ცხადია, რომ პოლიტიკურ მონობის მოსპობისთანავე სოც.-რევოლუციონერები ტერრორს დაულოცავენ წარსულს. მაგრამ შეიძლება ამნისტიას არ ავრცელებენ ტერრორისტებზე იმ მოსაზრებით, რომ მათ არც კი სცნობენ პოლიტიკურ დამნაშავეებად და ფიქრობენ მათ დევნას და დასჯას სისხლის სამართლის წესით? ეს იქნებოდა აშკარა თვითნებობა, რაიც ეწინააღმდეგება თვით ხელმწიფის მანიფესტს 17 ოქტომბრის თარიღით. პოლიტიკურ დანაშაულობის განსხვავება იმდენად ნათელია, რომ მისი გამოცნობა არაოდეს არ არის გასაჭირი,—იგი ცხადზე უცხადესია.

პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის აღსანიშნავი არიან ემიგრანტები.

„Новое Время“-ს ლონდონიდან ატყობინებენ ტელეგრამით: „პეტერბურგში მოვიდა სტრუ-

---

[1]) როსტოვიდან მიღებულ ცნობებით, იქაურ საპყრობილეში დატუსაღებული ყოფილა 50 ქართველი, გორის მაზრიდან გაძევებულნი 28 სექტემბერს. მათ ტელეგრამით უთხოვნიათ კავკასიის ნამესტნიკისათვის, რომ ისინიც გაანთავისუფლონ, რადგან გამოცხადებულ ამნისტიის მუხლები იმათაც ეხება [„ვოზროჟდენიე“]. გამოდის რომ პოლიტიკურ დამნაშავეთა გასანთავისუფლებლად საჭირო ყოფილა თხოვნა; ეს კი ეწინააღმდეგება კანონს.

[2]) ტერრორი (შეშინება, თავზარის დაცემა) ნიშნავს ერთისა თუ რამდენისამე ადამიანისაგან იარაღის ხმარებას პოლიტიკური მიზნით.

[3]) ამ სიტყვას ვხმარობთ, როგორც საკუთარ სახელს, ცნობილ პოლიტიკურ სისტემის აღსანიშნავად.

[4]) ვნანობთ, რომ არ შეგვიძლიან ეს განცხადება სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ, რადგან ხელთ არა გვაქვს ეს დოკუმენტი. ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს მივმართე ეგება გვაქვთ რევოლუციონური ქრონიკები: „ზა სტო ლეტ“. მან მიპასუხა, ეგ წიგნი აქვს ჩვენ ორგანიზაციას, მაგრამ ბიბლიოთეკა მიწაში გვაქვს ჩაფლული; მაგ წიგნის გამოსათხრელად სამი დღე მაინც დაგვჭირდებაო. ჩემ შეკითხვაზე, რატომ ბიბლიოთეკას არ გამოიტანენ მზის სინათლეზე, ეხლა ხომ თავისუფლებაა,—მან მიპასუხა: თავისუფლება ჯერ კიდევ არა გვჯერა, მთავრობას ვერ ვენდობითო. თუ ასე ფიქრობენ პარტიის ხელმძღვანელნი, როგორის უნდობლობით უნდა იყვეს შეპყრობილი თვითონ ხალხი? როგორი და უნდა იყოს იმ კუთხის მდგომარეობა, სადაც შეიძლება ჯერ კიდევ არ მისულა ხმა 17 ოქტომბრის პოლიტიკურ ცვლილებისა, რადგან საზოგადო გაფიცვის გამო ეს კუთხე მოწყვეტილი იყო ქვეყნიერობას; ეხლა მთავრობა ჯარებს აგზავნის იმ კუთხის დასაპყრობად, რომლის დანაშაულობაა პოლიტიკურ თავისუფლების მოთხოვნა.

ეე; პლეხანოვი ავად გახდა, მარა აპირობს წამოსვლას; მალე ჩამოვა პოსსე, „Жизнь“-ის ყოფილი რედაქტორი“. ჩვენ მაინც დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ; რომ ამნისტია არ არის გავრცელებული ყველა ემიგრანტებზე, და განა ხალხი მოითმენს, რომ მისი ყველა საუკეთესო შვილები მასთან არ იყვნენ, როცა სამშობლო განიცდის ასეთ დიდ პოლიტიკურ მომენტს?

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია დასკვნა: რუსეთის იმპერიის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა ისტორიული აუცილებლობის სისასტიკით ითხოვს ყველა პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ამას ითხოვს საზოგადოებრივი სამართლიანობა; ამას ითხოვს საზოგადოებრივი სარგებლობა. სრული ამნისტია საჭიროა საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის; სრული ამნისტია საჭიროა, რათა ყველა პოლიტიკურ „დამნაშავეთ“—როგორც უფრო მცოდნე, მხნე და ენერგიულ მოღვაწეთ,—საშუალება მიეცეთ აქტიური და პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ახალ პოლიტიკურ წესწყობილების დამყარებაში.

გაუმარჯოს სრულს ამნისტიას!

ვლ. დარჩიაშვილი.

თავისუფლების დამცველნი

ამბობენ,—17 ოქტომბერს ხალხმა რუსეთში უკვე მოიპოვა სიტყვის, პრესსის და კრებების თავისუფლება, პიროვნების და სადგომების ხელუხლებლობა...

ამბობენ ამას. სინამდვილე კი ამის პასუხად ჩვენ გვეუბნება, რომ იქ, სადაც ხალხმა მოისურვა ამ ახალ უფლების გამოყენება, ძველი წესების მომხრე ადმინისტრაცია ამის წინააღმდეგი გამხდარა და უწყალოდ ქლეტავდა იმათ, ვინც ქუჩაში ლაპარაკის დროს ადმინისტრაციის სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებას ჰკიცხავდა და ამჟღავნებდა...

ეს, განა, საკვირველია? ხალხის დამონებას, სხვის უფლებების გათელვას ჩვეული ადამიანი როგორ მოახერხებდა თავისუფლების სამსახურს... როგორ შეიძლებს თავისუფალ სიტყვის მოსმენას იგი, ვინც მუდამ სდევნიდა თავისუფლებას?.. ადმინისტრაცია თავისუფლების მფარველად როგორ გამოდგებოდა?..

მართლაც მან სისასტიკე გააძლიერა, სამხედრო წესების იმედით დარჩა, ხულიგანთა ბრბო შეადგინა, ტყვიით განგმირა თავისუფლების მოტრფიალენი რუსეთში სხვადასხვა ქალაქებში ქუჩები სისხლით მოირწყო, ჯარი ხალხს კლავდა, ხულიგანები ხალხს სწვავდნენ და ძარცვავდნენ, მათ სახლებში უვარდებოდნენ და ადმინისტრაცია გულგრილად უყურებდა იმას, კაზარმებად როგორ აქცევდნენ სასწავლებლებს...

რაღა საკვირველია, რომ ამის მნახველმა ხალხმა მოითხოვა ახლად მოპოვებულ თავისუფლების გარანტიები..., რომ ხალხი ამის ჩამდენ მთავრობის დაპირებას აღარ ენდობა...

ეს გარანტიები ყველასათვის ცხადია:

მთელ რუსეთში სამხედრო წესების მოსპობა.

ჟანდარმების და საპოლიტიკო პოლიციის გაუქმება.

სტრაჟნიკობის მოსპობა.

კაზაკების დაბრუნება მათ სამშობლოში.

საომრად და ხალხის დასაწონებლად გაწვეულ ჯარის კაცების დათხოვნა.

პოლიციის ხალხის ხელში გადაცემა.

ცენზურის გაუქმება.

ადმინისტრაციის გაბატონების მოსპობა.

ყველა პოლიტიკურ მებრძოლთა განთავისუფლება.

და რაკი ადმინისტრაციის სავსებით გადაყენება ასე ერთბაშად არ შეიძლება, ამიტომ დროებით ახლად მოპოვებულ თავისუფლების დამცველად უნდა იქმნეს დაყენებული ახალი დაწესებულებანი, ხალხისთვის სანდო, ხალხისაგან ამორჩეული. ეს იქმნება თავისუფლების დამცველი კომიტეტები. ამ კომიტეტებმა სახალხო მილიციის შედგენა უნდა იკისრონ.

ეს მილიცია აუცილებელი საჭირო არის. ხალხის ახალ თავისუფლების დამცველი საჭიროა და ამნაირ დამცველად გამოდგება მხოლოდ თვით ხალხი, შეიარაღებული და ძლიერი.

რომ ადმინისტრაცია ამის დამცველად არ გამოდგება, ეს ხომ ამ ჟამად ყველასათვის ცხადია და ამას პეტერბურგიდან მოსული დღევანდელი დეპეშაც ამტკიცებს. ჯერ კიდევ ხალხმა ვერ იგემა სავსებით პრესსის თავისუფლება და მთავრობას იგი უკვე ნამეტანი ჰგონია, მთავრობა შიშობს გაზეთები სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების სახელს გაუტეხავენო, მთავრობა ახალ კანონებსა სთხზავს იმისთვის, ხომ ამ მხრივ პრესისაგან თავისი სხვადასხვა წარმომადგენელი დაიცვას, მთავრობა დღესაც ამაზე ზრუნავს, რომ უზრუნველჰყოს თავისი მოხელეები, მათ მოუპოვოს გარანტიები... ეს იმ დროს, როდესაც თავისთვის გარანტიებს ითხოვს ხალხი, თავის ახალ უფლებების უზრუნველყოფას მოელის...

ამ უფლების უზრუნველყოფა დღესაც საჭიროა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან, იმათგან ვინც დღეს დაყენებულია თავისუფლების დამცველად... თავისუფლების მტერი თავისუფლების დამცველად არ გამოდგება.

ვარ. ფ—ი.

სად არის სასამართლო?

მოქალაქისა და ადამიანის არც ერთი უფლება—არც თავისუფლება პრესსისა, არც სიტყვისა, არც კრებისა, კავშირებისა, გაფიცვისა და არც ხელუხლებლობა პიროვნებისა და სადგომისა—გროშად არა ღირს, თუ ეს უფლებანი უზრუნველყოფილი არ არის. არც ერთს ახლად შეძენილ და ბრძოლით მოპოვებულ პოზიციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ჩვენ დარწმუნებულნი არა ვართ, რომ ამ პოზიციას ჩვენი მოპირდაპირე მეორე დღესვე უკანვე არ წაგვართმევს. ამ გვარ პოზიციას ფასი ედება და მნიშვნელობაც ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა მას მუდამ ორივე თვალით ვუდარაჯებთ და ყოველ წუთს მზად ვიქნებით ძალით დავიცვათ იგი და, თუ საჭირო იქნება, ამ პოზიციაზე მსხვერპლადაც შევწიროთ ჩვენი თავი მის დასაცავად.

უზრუნველყოფა, ესე იგი, გამაგრება და დაცვა 17 ოქტომბერს მოპოვებულ უფლებებისა ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, რომელმაც დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს რუსეთის კონსტიტუცია და ნამდვილად უზრუნველჰყოს მოქალაქისა და ადამიანის ძირითადი უფლებანი. ამ უფლებებს უზრუნველჰყოფს, სხვათა შორის, სასამართლო, რომელიც ხალხის ხელში ერთი უმთავრესი იარაღთაგანია თავის უფლებების დასაცავად.

მაგრამ განა ცოტათი მაინც უზრუნველჰყოფს ხალხის უფლებას რუსეთში არსებული სასამართლო? განა ეს სასამართლო იგივე ბიუროკრატიული იარაღი არ არის მთავრობის ხელში ხალხის წინააღმდეგ? აბა ერთი-ერთმანეთს დაუპირდაპირეთ ინგლისისა და რუსეთის სასამართლოები და ნახავთ, რომ ორივენი ერთმანეთს ისე ჰგვანან, როგორც „წმინდაო ღმერთო“ „მარსელიეზას“. ინგლისის სასამართლოს ორგანიზაციის საფუძვლად უდევს მოსამართლეების არჩევა ხალხის მხრით, რუსეთში კი მოსამართლეს ნიშნავს მთავრობა, რომელიც მას, როგორც დაქირავებულ მუშას, ისე ატრიალებს, როგორც ნებავს.

ინგლისში მთავრობას ნება არა აქვს მოსამართლე სამსახურიდან დაითხოვოს, რუსეთში კი საკმარისია ერთი თვალის გადაკვრა და არა-სასურველი მოსამართლე მაშინვე ყირამალა წამოვა თავის სავარძლიდან. ინგლისში არსებობს მხოლოდ ერთი და ყველასთვის თანასწორი სასამართლო. იგი ასამართლებს გლახაკსაც და მილიონერსაც, სალდათსაც და გენერალსაც, მუშასაც და მეფის საგვარეულო პრინცსაც, მღვდელსაც და მინისტრსაც. რუსეთში კი მოქალაქეთათვის ცალკე სასამართლოა, მღვდლებისთვის—ცალკე და მხედრებისთვისაც—ცალკე. ინგლისში ყველას შეუძლიან მინისტრიცა და პრინციც პირდაპირ მისცეს სამართალში, რუსეთში კი დამნაშავეს იმის უფროსთან უნდა უჩივლო და იმაზეა დამოკიდებული, მისცემს დამნაშავეს სამართალში თუ საქმეს ჩააფუჩეჩებს. ინგლისში არსებულ კანონით არავის ნება არა აქვს უმიზეზოდ, მხოლოდ ეჭვით ვისმეს თავისუფლება მოუსპოს და ამით იმის პიროვნების თავისუფლება შეზღუდოს; რუსეთში კი ყოველ ბოქაულს, პოლიციელსა და კაკარდოსანს თავისუფლად შეუძლიან, ვისაც უნდა, ცხვირ-პირი ჩაამტვრიოს, დაასახიჩროს, აიკლოს, ააოხროს, დააპატიმროს და ბოლოს ყველაფერი შერჩეს. რაღა უნდა ვთქვათ გუბერნატორებზე და გენერალ-გუბერნატორებზე, რომელთაც დიქტატორული უფლებები აქვთ მინიჭებული. განა შესაძლებელია ამისთანა ამბავი იქ, სადაც სასამართლო პირველი და მთავარი დარაჯია პიროვნების თავისუფლებისა? საკმარისია მოვიგონოთ ორი მაგალითი ინგლისის სასამართლოს ისტორიიდან.

1763 წელს ერთ გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ცხადად ჰკიცხავდა მთავრობას. გაბრაზებულმა მინისტრმა გალიფაქსმა საზოგადო ბრძანება გამოსცა: რედაქტორი, გამომცემელი, გაზეთის თანამშრომელნი და სტამბა გაჩხრიკეთ და წერილის ავტორი მიპოვეთო. პოლიციამ მინისტრის ბრძანება აასრულა და 50 კაცამდე დააპატიმრა, მათ შორის ვინმე ვილკსიც. ვილკსმა გაჩხრეკის ბრძანებაში თავის გვარი ვერ ნახა და პოლიციას არ დაემორჩილა, მაგრამ ძალით დააპატიმრეს. ვილკსმა „ჰაბიას კორპუსის“ ძალით მალე გაინთავისუფლა თავი და უჩივლა მინისტრის თანაშემწეს, რომელმაც მინისტრის ბრძანება შეასრულა. სასამართლომ მინისტრს 40,000 მან. გადაახდევინა, იმის თანაშემწეს—10,000 მან. და ეს ფული ვილკსს ჩააბარა. აი, მეორე მაგალითიც: მინისტრის ბრძანებით ერთი ასოთ-ამწყობი დააპატიმრეს და 6 საათის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს; მაგრამ მან საჩივარი აღძრა მინისტრის წინააღმდეგ. თუმცა ამწყობს საპყრობილეში იმაზე უფრო კარგ საჭმელს აძლევდნენ, ვიდრე მას ჰქონდა ხოლმე ყოველ დღე და უფრო კარგ ოთახშიაც შეინახეს, მაგრამ სასამართლომ ამას არ მიხედა და მინისტრს 3000 მანათი გადაახდევინა ასოთ-ამწყობის სასარგებლოდ.

აი, სწორედ ასეთ სასტიკ პასუხისმგებლობით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ინგლისში ადმინისტრაციის მხრით რაიმე ძალმომრეობა მეტად იშვიათია. იქაურმა მოხელემ მშვენივრად იცის, რომ ყოველ უკანონო საქციელისთვის და თვითნებობისთვის ის სასტიკად დაისჯება და, რასაკვირველია, ერიდება ძალმომრეობას.

ამისთანა მაგალითების მოყვანა და ინგლისისა და რუსეთის სასამართლოების ორგანიზაციების შედარება შორს წაგვიყვანს. ზემოხსენებულიდანაც ნათლად სჩანს, რომ სასამართლო,—ნამდვილი, მიუდგომელი და ხალხის მიერ შედგენილი სასამართლო,—პირველი და საუკეთესო დარაჯია თავისუფლებისა. რომელი ბიუროკრატი, რომელი თვითმპყრობელი გუბერნატორი და პოლიციის რომელი გამგე გაბედავდა ხალხის უმიზეზოდ ამოჟლეტას, ამოხოცვას და მის ქონების გაოხრებას, თუ მას მიუდგომელი მოსამართლე მხოლოდ 6 საათით უკანონო დაპატიმრებისთვის 40,000 მანათს გაადახდევინებდა!

ჩვენში ჯერ არ არსებობს არავითარი გარანტია პიროვნების ხელუხლებლობისა და ამიტომაც დაუსჯელი რჩება ბევრი ბოროტმოქმედება, რომელიც საშინელი და საზიზღარია. მოიგონეთ თუნდ მხოლოდ 29 აგვისტო და 22 ოქტომბერი ტფილისში; მოიგონეთ უდანაშაულოთა სისხლით შეღებილი საბჭოს დარბაზი და კიბე და ასეთივე სისხლით გაჟღენთილი გოლოვინის პროსპექტი, „პურ-ღვინოს“ სასტუმრო, საკრებულო, ვაჟთა პირველი გიმნაზია და „ტიფლის“-ისა და „ვოზროჟდენიეს“ რედაქციები და იკითხეთ, ვისი ბრალი იყო ამოდენა სისხლის დღვრა, ვის უნდა დააწვეს კისერზე ამოდენა მსხვერპლის უდანაშაულო შეწირვის პასუხის გება? ზნეობრივ პასუხის გებაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, არ შეიძლება. იგი, რათქმა უნდა, არის, მაგრამ ზნეობრივ პასუხისგება გარდა საზოგადოების წინაშე პასუხისგებაც არსებობს და მას არ უნდა წაუვიდეს ხელიდან ირც ერთი ნამდვილი დამნაშავე მომხდარ ამბებისა. მაგრამ რას ვხედავთ ნამდვილად? ისინი, ვინც ერევნის მოედანი და საბჭო სისხლით მორწყეს, თავისუფლად დასეირნობენ, ჩინებსა და ჯამაგირებს იღებენ და არც არავინ ფიქრობს იმ საშინელ ამბის გამოძიებას და დამნაშავეთა გასამართლებას. განა ის ბოროტმოქმედება დამალულ-დაფარულია? განა,—თუ მართლა სალდათები ბრძანებას არ დაემორჩილნენ და თავის ნებით იწყეს სროლა,—ეს სამხედრო წესდებით დანაშაული არაა? თითქმის ყველა მოკლული, დაჭრილი და მრავალი გადარჩენილიც სალდათებმა და კაზაკებმა არ გაჰქურდეს და არ გაძარცვეს, განა მათ ამგვარად მაროდიორობა არ ჩაიდინეს? რატომ არც-ერთი სალდათი არ გაჩხრიკეს, ნაქურდალი არაფერი უპოვეს და სამართალში არ მისცეს?

დიაღ, რატომ? რატომ არავის აძლევენ სამართალში? სად არის ამის შემდეგ დიდის რიხით გამოცხადებული პიროვნების ხელუხლებლობა? იმაში, განა, რომ უმიზეზოდ ხალხი ამოჟლიტეს და თავიც მოჰორილ ამბით გაიმართლეს: რევოლუციონერებმა სამი ყუმბარა ისროლესო. გაუგებარია, როგორ და რა პირით თხოულობს ამ გვარ ამბების შემდეგ მთავრობა ნდობას, დახმარებას და მოთმინებას!

როცა პეტერბურგის გაზეთებისა და ჟურნალების წარმომადგენლნი ვიტტეს წარუდგნენ და მოსთხოვეს, ტრეპოვი დაითხოვეო, თორემ ისე ვერ გენდობით და ვერც მხარს დაგიჭერთო, ვიტტე დაჰპირდა, თხოვნას აგისრულებთო, და აასრულა კიდევაც, რადგან საზოგადოებამ მედგრად და დაჟინებით მოითხოვა იმ კაცის თვალიდან მოშორება, რომელმაც ურცხვი, ცინიკური და თავხედური ბრძანება მისცა ჯარს,—ხალხისთვის პატრონებს ნუ დაიშურებთო.

ჩვენც სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. უნდა მოვითხოვოთ დამნაშავეთა დასჯა და ენერგიულად უნდა ვუთხრათ მთავრობას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მისი არაფერი გვჯერა. ახლანდელი დრო აუტანელი შეიქმნა. ვერავინ ჩვენგანი ვერ იტყვის, რომ ის ხვალ ცოცხალი ადგება, ან საპყრობილეში არ ამოჰყოფს თავს ან ქონებას არ აუოხრებენ, არ გაძარცვავენ და მერე ამ ძალადობის მიზეზად საწყალ ყუმბარას არ გამოაცხადებენ.

მ. ად—ლი.

რეპრესსია და რევოლუცია

როდესაც ცხოვრება ბუნებრივ განვითარებას ასცდება და ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფა ხალხი, მაშინ ძალა საქმის გადასაწყვეტად აუცილებელი ხდება...

ამ ძალას სხვადასხვა ფასი და მნიშვნელობა აქვს იმის მიხედვით, თუ რითია იგი გამოწვეული, რისთვის ადგება ძალადობას ადამიანი... მონა, თავისუფლებისათვის მებრძოლი, საქებია და სადიდებელი; მტარვალი, რომელიც ძალადობაზე აშენებს თავის გაბატონებას,—საძაგელი...

ისტორიამ მრავლად გადმოგვცა იმის მაგალითები, რომ კერძო ადამიანს, მთელ ერს ან ერის ერთ რომელსამე დამონებულ ნაწილს აუმართავს აჯანყების დროშა, მოუკლავს მტარვალი, სისხლის ღვარი დაუქცევია თავისუფლების მოსაპოვებლად... მადლიერმა შთამომავლობამ არ დაჰკარგა თავისუფლებისთვის მებრძოლთა სახელი!..

მათ სათაყვანებელ სახელთან ერთად ისტორიამ იმათი სახელებიც გადმოგვცა, ვინც ძალადობით ცდილობდა ხალხის დაბეჩავებას. წყეულ-კრულვით იხსენიებს კაცობრიობა მტარვალებს, ბოროტმომქმედთ სახავს ყველას, ვინც წინ აღუდგა თავისუფლებას, ძალით ჩააქრო ხალხში მისწრაფება უკეთეს მომავლისადმი.

რა ჰქნას ხალხმა, რომელსაც მტარვალი განადგურებას უქადის. უბრძანებს,—დამიჩოქე, მეთაყვანე და მაშინ მოგანიჭებო თავისუფლებას? რა ჰქნას ხალხმა, რომელსაც ამ თავისუფლებას აძლევენ პირობით, იმ პირობით, რომ ყველამ ქედი მორჩილად მოიხაროს წინეთ გაბატონებულ ძალთა წინაშე? რა ჰქნას ადამიანმა, რომელიც ხედავს, რომ მისი თავისუფლების მომნიჭებელი მათრახით ხელში თოფის ლულას ხალხისკენ იღერებს და ჰკლავს ყველას, ვინც გაბედავს და ამ თავისუფლებას მოიხმარს იმისთვის, რომ ეს ძალად მაცხონე გაჰკიცხოს, ჩამოიშოროს?..

რეპრესიები—ძალადობაა, რეპრესიებით ხალხს ესპობა თავისუფლება, რეპრესიებით ხალხს მონად აქცევენ იმისთვის, რომ შემდეგ მას რამე „წყალობა უბოძონ“ და „მადლობა მოისმინონ“ ამ წყალობისათვის! რეპრესიების შემომღები აცხადებს საჯაროდ,—მე ვარ ბატონი და შენ კი უუფლებო მონა ხარ და არა მოქალაქე და ბატონი სახელმწიფოში... ამნაირ გზაზე დამდგარი ველარ გრძნობს იმას, რომ იგი ამით ხალხის მხრივაც ძალადობის გამომწვევია.

ძალას ძალითვე ებრძვის ადამიანი! რეპრესიები—იგივე ძალაა, და ამ ძალის საპასუხოა ხალხის ძალა—რევოლუცია. იქ, სადაც ხალხი შეუწუხებია მმართველ კლასების გაბატონებას,—რევოლუცია აუცილებელი გამხდარა და ამ რევოლუციის გამარჯვებისთვის საჭირო ყოფილა მხოლოდ ყველა უკმაყოფილო და დაჩაგრულ ელემენტების საერთო მიზნით შეკავშირება...

ერთობა—ძალაა! ხალხის ერთგულობის წინ ქედს იხრის ყველა და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ბრძოლა გაერთიანებულ ხალხის ძლიერებასთან. ქუჩაში ბრძოლა, ერთ რომელისამე პარტიის პირის-პირ შეტაკება ჯარებთან ახლა საქმის გადამწყვეტი არ არის; ათასი ძაფით ერთმანეთზე გადაბმული ხალხის სხვადასხვა ძალები თავის მებრძოლ ძალთა გამარჯვებას გზას უკაფავენ და მოწინააღმდეგეთა მოქმედებას კი აფერხებენ. ეს გარემოება ზნეობრივად ისე ასუსტებს ხალხზე გაბატონებულ ძალთა ძლიერებას, რომ ხალხის გამარჯვება შემდეგ ადვილი ხდება. საჭირო კი არის ამისთვის, რომ ამ გაბატონებულ ძალებს იმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ხალხის ერთი რომელიმე ნაწილი მაინც მხოლოდ გარეგნად ემხრობა განმათავისუფლებელ მისწრაფებას და მცირეოდენ უფლების მოპოვებით დაკმაყოფილდება; საჭიროა, რომ მოძრაობის მიზანი ყველასთვის თანასწორად ძვირფასი იყოს...

გავიხსენოთ ფინლანდია, რომელმაც ერთხმად მოითხოვა და უკვე მოიპოვა ის უფლება, რომლის მოპოვებაც უნდოდა. იქ ყველა, მიმართულების განურჩევლად, ითხოვდა—ეროვნულ თავისუფლებას,—ფინლანდიელები ამბობდნენ, ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი რამ—ჩვენი ავტონომია, რომ რუსეთის მთავრობის გავლენისაგან მოშორებულებმა მოვახერხოთ ჩვენ თვითონ ჩვენი ადგილობრივ საქმეების მოწყობა და არ ვიყოთ დამოკიდებული იმაზე,—განაგრძობს ბრძოლას მომქმედი პარტია რუსეთში, თუ შეურიგდება აწინდელ მდგომარეობას და ქედს მოიხრის ის „პატრიოტების“ წინაშე...

ფინლანდიამ მოიპოვა უფლება, თავის საქმეებს თვითონვე გაუძღვეს და ახლა მას რუსის ჯარებთან შეტაკება აღარ სჭირდება, რომ თავის სურვილზე მოაწყოს საქმეები ფინლანდიაში. ხალხს იქ შეუძლია დემოკრატიულ პრინციპების განხორციელება, რუსეთში ახლად გაბატონებულ რეაქციის მიუხედავად...

რას ვხედავთ ახლა ჩვენში? სულაც რომ გასრისონ ჯარებმა გურია,—რუსეთში მოქმედმა პარტიებმა ამაზე, ვინ იცის იქნება ხმაც არ ამოიღონ... ამის შეგნება საზოგადოების ყველა ძალებს შეაერთებს ჩვენში თავისუფლების მოსაპოვებლად, არ შეგნება კი—დაქსაქსავს და დაამარცხებს...

სტუმარი

ფედერალიზმი და არა სეპარატიზმი

დადგა დღე თავისუფლებისა! ქუჩებში ალისფერი დროშები ფრიალებს და გაისმის ხალხის გულიდან ამონახეთქი ხმა ძლევა-მოსილისა და მედგარის სიმღერისა. ღელავს ხალხთა ზღვა და მისი გუგუნი შორით-შორად უწევს, გმინავს და როყინებს, ვით აბობოქრებულის ზღვის ზვირთები. აგერ გარედ გამოსულან კიდეც ის ძლევა-მოსილი დასები, რომელთა მეოხებით მოვიპოვეთ ჩვენ 17 ოქტომბრის მანიფესტი. ორატორები მქუხარეს ხმით მოუწოდებენ ხალხს საბრძოლველად, საერთო იდეების განსახორციელებლად. ყველა დასების ორატორები თხოულობენ საარჩევნო უფლებათა რეფორმებს, თხოულობენ, რომ ეს არჩევნები იყოს საზოგადო თანასწორი, ფარულის კენჭის ყრით. ეს არის ის უპირველესი ნიადაგი, რომელზედაც ფეხი მოუმაგრებით ყველა დასის მეთაურთ. ამ მოთხოვნილებას ადგია სოციალ-დემოკრატიაც, სოციალ-რევოლუციონერი, სოციალ-ფედერალისტი, სომეხ სოციალისტთა დასი, „დაშნაკცუტიუნის“ წევრიც, „ჰანჩაკისტიც“. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის. მაგრამ ამ საერთო მოთხოვნილების გარდა, სოციალ-რევოლუციონერებიც, სოციალ-ფედერალისტებიცა და „დაშნაკცუტიუნის“ ორატორებიც მოუწოდებენ ხალხს—იბრძოლონ თავის სამშობლოს ავტონომიისათვისაც.

„17 ოქტომბრის მანიფესტშიო—ამბობენ ზემოდ ჩამოთვლილ დასების ორატორები—გაკვრითაც კი არ არის აღნიშნული, რომ საჭიროა რუსეთის სახელმწიფოს ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობა და ეს ჩვენი პროგრამა—მინიმუმის ქვაკუთხედი სრულიად დაუვიწყნიათო“. მართლადაც ამ დასების უმთავრესი სულთა-სწრაფვაა მოუპოვონ თვალ-უწვდენელ რუსეთის თითოეულ ერს სრული და ფართო თვით-გამორკვევის ასპარეზი და ამ რწმენის განსახორციელებლად აუცილებლად სთვლიან რუსეთის ერთა ცხოვრების ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობას. აქედან თვალსაჩინოა, რომ თხოულობენ: მოწვეულ იქმნას საერთო რუსეთის დამფუძნებელი კრება კი არა, არამედ დამფუძნებელი კრებები ყველა უფლება მოსილ განაპირა ქვეყნების და მათ შორის სრულიად კავკასიისაც. ამას თხოულობს რუსეთის რვა ძლევა—მოსილი პოლიტიკური პარტია. (სოციალ-რევოლუციონერები, ქართველი სოციალ-ფედერალისტები, სომხის „დაშნაკცუთიუნი“, პოლონეთის სოციალისტური პარტია, ფინლანდიის აქტიურად მოწინააღმდეგე პარტია, ბელორუსეთის გრომადა, ლატიშთა სოციალ-დემოკრატიული კავშირი და უკრაინის პარტია). ამ მოთხოვნილობას საერთო არა აქვს—რა სეპარატიზმთან. რუსეთში არ არსებობს ისეთი პარტია, რომელსაც აზრად სეპარატიზმი ჰქონდეს, ხოლო თუ ზემოდ დასახელებული პარტიები ფედერაციას თხოულობენ, თხოულობენ იმისთვის, რომ უზარ-მაზარ რუსეთის მცხოვრებნი უფრო დაუკავშირდნენ ერთმანეთს. რუსეთი დიდი და ვრცელია, მის სხვადასხვა ეროვნების მკვიდრთ ათასგვარი მოთხოვნილება აქვთ და ერთი სრულიად-რუსეთის კრება არამც თუ ვერ დააკმაყოფილებს განაპირა ქვეყნების მოთხოვნილებით, ჯეროვანად ვერც კი გაეცნობა ამ ქვეყნების საჭიროებით, და სწორედ ეს გარემოება იწვევს სხვადასხვა ერების ფედერატიულ მიმართულებას და, თუ ხანდახან სეპარატიული აზრებიც გვესმის, ეს იმის ბრალია, რომ რუსეთში ცენტრალისტური მმართველობაა.

როდესაც ქვეყნის მმართვა-გამგეობა გადავა სხვადასხვა ერების ხელში ფედერატიულ ნიადაგზე, სეპარატიზმი დაჰკარგავს თავისს რეზონდეტს“. მართლადაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ფედერატიულ შვეიცარიასა, კანადასა, ბრაზილიასა და მექსიკაში სეპარატიული მოძრაობა სრულიადაც არ არის, ხოლო ცენტრალისტურ ავსტრიასა, ან უნგრეთში იგი თვალსაჩინოა.

კავკასიის ფედერატიული პარტიები კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ, 17 ოქტომბრის მანიფესტს და არც გვგონია, რომ ეს პარტიები ოდესმე შეურიგდნენ ამ მანიფესტს, როგორც ცენტრალისტურ პრინციპზე დამყარებულს.

არა, შიში სეპარატიზმისა, რომელსაც გამოიწვევს ცენტრალიზაცია და თითოეულის ერის ცხოვრების სათანადო მოწყობა, უფრო მტკიცედ დააკავშირებს ამ პარტიებს და ხალხში მუდამ იქადაგებს ფედერაციის საჭიროებას. ეს იქმნება უმთავრესი ძარღვი მათის პოლიტიკურის პროგრამისა („ვოზროჟ.“).

ვინ დაარღვია მშვიდობიანობა?

17 ოქტომბრის მანიფესტმა უფრო საზოგადოების ის ნაწილი გაახარა, რომელიც ყველაზე მედგრად იბრძოდა თავისუფლებისთვის. მანიფესტმა ეს საზოგადოება არ დააკმაყოფილა, და 18 ოქტომბერს რუსეთის ყველა ქალაქში ხალხი წითელ დროშებითა და სარევოლუციო სიმღერებით ქუჩაში იმიტომ გამოვიდა, რომ იგი პირველ გამარჯვებას დღესასწაულობდა. თუმცა რევოლუციონერებს ესმოდათ, რომ ბრძოლა ჯერ არ გათავებულა და მისი დროებით შეწყვეტაც არ შეიძლება, მაგრამ მაინც ყველასთვის ცხადი იყო, რომ იმ ჟამად ისინი რევოლუციის მოხდენას არ აპირობდნენ. მერე რით გათავდა ეს ბუნებრივი და კანონიერი სიხარული? აუარებელ სისხლის ღვრით მთელ რუსეთში!

შუა რუსეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ყოველ კუთხიდან დეპეშები მოდის: მანიფესტანტები გაჰჟლიტეს, დახოცეს, აიკლეს და გადაბუგესო. მრავალ ალაგას ალვირ-აშვებული შავი რაზმი ებრაელების სახლებს ეცა და ააოხრა, აიკლო და გაქურდა.

როგორ დაიბადა ეს შავი ძალა? რამ გამოიწვია, ვინ შეადგინა, ვინ აამხედრა? იქნება ეს აჯანყებაა გამარჯვებულ რევოლუციის წინააღმდეგ? იქნება ასეც იყოს. სოფლებშიაც და ქალაქებშიაც უკმაყოფილონი ბლომად მოიძებნებიან. შავ ბნელ ქვესკნელის რაინდნი, რომელთაც გუშინ პოლიციელებთან და ჯაშუშებთან ერთად ქუჩა ხელში ეჭირათ, რასაკვირველია, შეძრწუნდნენ, როცა დაინახეს, რომ ეს ქუჩა იმ ხალხის ხელშია, რომელიც რამდენიმე დღის წინად კანონის წინაშე იდგნენ. უკმაყოფილონი მაღალ ფარდებშიაც მოიძებნებიან. ახლა კი ცხადზედ უცხადესია, რომ ხულიგნების რაზმი მთავრობამ შეადგინა და პოლიცია და ჯარი მხარში ამოუყენა. ეს ცხადად სჩანს ცენზურის მიერ ნებადართულ დეპეშებიდანაც კი.

მინსკში ჯარმა ვილაცას ბრძანებით მანიფესტანტებს ორი მხრით მოუარა და თოფი დაუშინა. დაიხოცა და დაიჭრა რამდენიმე ასი კაცი. ვარშავაში მშვიდობიანად მიმავალ ხალხს ჯარმა მოულოდნელად თოფი დაუშინა. კრემენჩუგში, ტაშკენტში, კავკავში, კიევში, ბაქოში, ტფილისში, ეკატერინბურგში და ბევრ სხვა ქალაქშიაც ჯარი და პოლიცია სრულიად უმიზეზოდ ქლეტავდა დემონსტრანტებს. ოდესა ხულიგანებმა, კაზაკებმა და პოლიციამ აიკლეს: დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი მარტო ამ ქალაქში 5000 კაცს აღემატება. ხულიგანები ნაქურდალ საქონელს დროგებით ეზიდებოდნენ, ჯარი და კაზაკები კი მფარველობას უწევდნენ. ტომსკში ხულიგანებმა 600 კაცი დასწვეს, ჯარი კი იქვე იდგა და სეირს უყურებდა.

მშვიდობიან მოქალაქეთა დახვრეტა და ჯარისა, მთავრობისა, პოლიციისა, ხულიგანებისა და ავაზაკების კავშირი ხალხის ძარცვა-გლეჯისა და ხოცვის დროს—ძველი, ჩვეულებრივი ამბავია. წინად მთავრობის აგენტების ბოროტ-მოქმედებაზე ვერას ვამბობდით, ახლა კი გაჩუმება შეუძლებელია. საზოგადოებამ მთავრობა სამართალში უნდა მისცეს თავისუფლების გამოცხადების პირველ დღესვე კანონის დარღვევისთვის და ბოროტმოქმედებისთვის. თუ მთავრობამ თვითონ არ იკისრა დანაშაული, მაშინ საზოგადოებამ ნამდვილ დამნაშავეთა დასჯა უნდა მოითხოვოს. თუ ბრალი პოლიციას და ადგილობრივ ადმინისტრაციას აღევს, დამნაშავენი დაუყოვნებლივ უნდა დაითხოვონ და სამართალში მისცენ.

მაგრამ იქნება ეს სისხლი იმათ დასჭირდათ, ვისაც იმის დამტკიცება უნდა, ვითომ დათმობა ამბოხებას გამოიწვევსო? დიე, მთავრობამ, იმ ახალმა მთავრობამ, რომელიც საზოგადოების ნდობასა და დახმარებასა სთხოვს, ეს გულახდილად სთქვას და მთელ რუსეთის წინაშე გამოსთქვას თავისი აზრი. მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ, თუ აღელვებული საზოგადოება არ დაამშვიდა, საშინელი, არაჩვეულებრივი ამბები მოხდება: დახოცილ მანიფესტანტთა ძვლებიდან მილიონობით აღსდგებიან შურისმაძიებელნი და ისეთ კორიანტელს დაატრიალებენ, რომ ახლანდელი დრო იმასთან შედარებით კაცთა შორის დამყარებული სიყვარული და სათნოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება. ჩვენ კი მთელი ქვეყნის წინაშე პირდაპირ და ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ მთავრობამ თავის მიერვე ჩამოგდებული მშვიდობიანობა პირველად თვითონვე დაარღვია; დაარღვია ისეთის არაჩვეულებრივ და მხეცურ სისასტიკით, რომ ასეთი სისასტიკე რევოლუციას ჯერ არას დროს არ გამოუჩენია (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 29 ოქტომბერი. „ბირჟევია ვედომოსტი“ იუწყება, მთავრობის სათავეში მდგომთა შორის კატეგორიულად ირწმუნებიან, რომ ამჟამად ადგენენო პროექტს პოლონეთის სრულ ავტონომიის შესახებ. მთავრობა ყოყმანშია კავკასიისთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ, რადგანაც ამ მხარეში მრავალი სხვადასხვა ტომის ხალხი ცხოვრობს. კავკასიის ავტონომიის საკითხს მომავალ პარლამენტს (სახელმწიფო საბჭოს) გადასცემენ გადასაწყვეტად.

პეტერბურგი, 27 ოქტომბერი. რადგანაც განზრახ გავრცელებული ტყუილი ცნობები მთავრობის ორგანოების მოღვაწეობაზე, იმ აზრით, რომ აღელვოს მთავრობის წინააღმდეგ იმპერიის მცხოვრებნი, აწ არსებულ კანონებში არაა შეტანილი და არაფერია ნათქვამი ამგვარ დანაშაულობის ჩამდენთა პასუხის მგებლობაზე, იუსტიციის მინისტრმა მანუხინმა სახელმწიფო რჩევაში შეიტანა კანონპროექტი, შემუშავებული შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, რომლის ძალითაც თანამდებობის კაცთა და მთავრობის ორგანოთა მოღვაწეობაზე ამნაირ ტყუილ ცნობების გავრცელებისათვის დამნაშავეს პასუხის გებაში მისცემენ სისხლის სამართლის წესით.

გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი სახელმწიფო რჩევის წევრად დაინიშნა.

ახალი ამბავი

◆ დღეს, დილის 10 საათზე, ნაძალადევში დანიშნულია **სახალხო მიტინგი**, რომელსაც თათბირი ექნება გურიის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

◆ სამშაბათს, 1-ლ ნოემბერს, ნაძალადევში, დილის 11 საათზე, **გაიმართება მიტინგი** ტფილისის ყველა სასწავლებლების მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა.

◆ „ცნ. ფურ.“ სიტყვით, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟ. ივანოვსკის **შეუდგენია სია იმ მოსამსახურეთა**, რომელნიც ხელს უწყობდნენ უკანასკნელ საყოველთაო გაფიცვას, და გენ. შირინკინისთვის გადაუცია, ეს მოსამსახურენი ყველანი უნდა დაისაჯოსო. შირინკინს ეს სია ნამესტნიკისთვის გადაუცია, მაგრამ ნამესტნიკს ივანოვსკის თხოვნა არ შეუწყნარებია.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი **ივანოვსკი 28 ოქტომბერს** საღამოს მატარებლით **პეტერბურგს წავიდა.** მის თანამდებობას ასრულებს ინჟენერი რახმანინი. როგორც ამბობენ, ივანოვსკი პეტერბურგიდან აღარ დაბრუნდება.

◆ კავკასიის ნამესტნიკის საბჭომ განიხილა საკითხი საომარ წესების ახსნის შესახებ და დაადგინა, **თუ კვირას, დღეს, ე. ი. 31 ოქტომბერს, არა მოხდება რა, შესაძლებელი იქნება ამ წესების ახსნა.**

◆ ბათუმის ქალაქის მოურავმა ამ დღეებში კავკასიის ნამესტნიკს **შემდეგი დეპეშა გაუგზავნა**: ბათუმის ქალაქის საბჭომ განიხილა ყოველმხრივ „ბათუმის დღევანდელი მდგომარეობა და ერთხმად დაადგინა, აღძრან შუამდგომლობა თქვენს წინაშე, ნება — დართოთ ბათუმის მცხოვრებთა დელეგატებს, გურიაში წავიდნენ და ხალხი დაამშვიდონ. გთხოვენ, ნუ მიიღებთ რეპრესიულ ზომებს, რადგან ყველას იმედი გვაქვს, რომ ხალხი თავის თავად დამშვიდდება. 17 ოქტომბრის უმაღლესის ბრძანების გამო, ჩემის მხრივ გთხოვთ დააკმაყოფილოთ საბჭოს შუამდგომლობა და ქალაქ ბათუმს ახსნათ სამხედრო წესები, რადგან მხოლოდ ეს საშუალება დაამშვიდებს ხალხს და ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება“.

◆ გურიიდან დეპეშით დაწვრილებით იტყობინებიან **ჩოხატაურში მომხდარ ამბებს**. 16 ოქტომბერს სამასი გურული დასცემია კაზაკების პოსტს. მოუკლავთ ერთი, დაუჭრიათ ორი. წაურთმევიათ ათი ბერდანის თოფი; მეორე დღეს დაუტუსაღებიათ ბოქაული გაგუა და რამდენიმე სტრაჟნიკი. ამასთან წაურთმევიათ თოფები და პატრონები. 19 ოქტომბერს ჩოხატაურიდან დაბრუნების დროს მაზრის უფროსს ჩასაფრებიან გზაზე და კაზაკებისთვის დაუშენიათ თოფი და ყუმბარა. დაჭრილა რამდენიმე კაზაკი, ხოლო ექვსი გურულებს ტყვედ წაუყვანიათ.

◆ ბათუმში, 29 ოქტომბერს, დაწყობილა გაფიცვა და მთელი დღე არეულობა ყოფილა ქალაქში. **ხალხს შეტაკება მოსვლია ჯართან** და საღამოს ჟამს საავადმყოფოში მიუყვანიათ 3 მოკლული და 2 დაჭრილი. დააპატიმრეს სულ 27 კაცი.

◆ რადგანაც ხაშურის მხარეს ლიანდაგი ხშირად ფუჭდება, ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მემანქანეებმა განაცხადეს**: ამ პირობებში ვერ შეგვიძლიან ვიმუშაოთ ხაშურის მხარეს, სანამ არ დაწყნარდება და არ მოისპობა ლიანდაგის წახდენაო. მემანქანეთა მაგივრად დანიშნეს რკინის გზის ბატალიონის მემანქანენი.

◆ **ღამ-ღამობით ტფილისის სახაზინო თეატრს ჯარი სდარაჯობს.** წარმოდგენების დროს, ჯარს უფრო აძლიერებენ. ჯარი სდგას ხოლმე თეატრის კარებში და გარშემო.

◆ ზუგდიდში გაფიცულან ყველა სავაჭრო სახლის და დაწესებულებების **მოსამსახურენი.**

◆ როგორც ერევნიდან გვატყობინებენ, 27 ოქტომბერს **გაფიცულან ქალთა გიმნაზიის** მოწაფენი და დაბარებულია მშობელთა საბჭო.

◆ ტფილისში დაჟინებით ლაპარაკობენ, **ხულიგანთა ბრბოს იარაღი დაურიგდაო.**

◆ **ამ ჟამად ტფილისის საკრებულოში განჯის პოლკი სდგას.** ხმები დადის, მოკლე ხანში საკრებულოდან ჯარს გაიყვანენო. „ტფილისის ლისტოკის“ რედაქციისა და განკევიჩის ფოტოგრაფიის შენობებიდან ჯარი უკვე გაიყვანეს. სასწავლებლის ადმინისტრაციის შუამდგომლობით, როგორც ამბობენ, ჯარს ამ დღეებში პირველ გიმნაზიის შენობიდანაც გაიყვანებენ.

◆ საერთო გაფიცვის დროს, ტფილისის ელექტრონის ტრამვაის მოსამსახურეებმა მოითხოვეს **რვა საათის სამუშაო დღე.** მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნა.

◆ ქალაქის გამგეობა ჯარისათვის მეექვსე საპოლიციო ნაწილში ჩითახოვის სახლს ქირაობს.

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდება ორშაბათს**, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე. კრების გახსნისთანავე, მგალობელთა გუნდი იგალობებს, 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემათ.

◆ საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა გუშინ, 29 ოქტომბერს, სთხოვა ქალაქის მოურავს, რომ საბჭოს ხმოსანთა პირველ კრებაზე აღიძრას საკითხი ტფილისის პირველ **სავაჟო გიმნაზიის ჯარისგან განთავისუფლების შესახებ.**

◆ როგორც შევიტყეთ, **განზრახულია დიდი ცვლილებანი შეიტანონ გაზ. „კავკაზ“-ის რედაქციაში.** ახლანდელ რედაქტორის ბელინსკის ნაცვლად დანიშნავენ ისეთ კაცს, რომელსაც შეძლება ექმნება ბეჭდვითი სიტყვით ებრძოლოს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთობას.

◆ კავკასიის სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ განიხილა ახალ პროგრამის შემოღების საკითხს სამრევლო სკოლებში და დაადგინა, მოწონებულ იქმნეს ამ სკოლების საეპარქიო მეთვალყურის ა. ი. ოდოევის პროექტი წერა-კითხვის სკოლების გაუქმების შესახებ და სხვა. ცალკე მოხსენება შეიტანა კრების თავმჯდომარემ ეპ. ევთიმემ.

◆ წელს ტფილისში **ჯარის კაცად ჩაირცხა** 258 ახალგაზდა. ამათგან სამხედრო საკრებულოში გამოცხადდა მხოლოდ 130 კაცი. სამშაბათს, 1 ნოემბერს, ყველა ამათ ფიცს მიაღებინებენ და 6 დეკემბრამდე დაითხოვენ სახლებში. 6 დეკემბრის შემდეგ მათ პოლკებში გაამწესებენ. ჯარის კაცთა რიცხვს შეავსებენ იმ კაცებით, რომელთაც ოჯახის მდგომარეობის გამო, მეორე და მესამე ხარისხის შეღავათი აქვთ.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოში 1, 3, 8 და 10 ნოემბერს **საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ის უძრავი მამულები,** რომელიც ამიერ-კავკასიის პრიკაზში არის დაგირავებული. გაიყიდება 26 მამული.

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამნისტიის ძალით მოსკოვის საგუბერნიო საპყრობილედან, სხვა მრავალ პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის, 18 ოქტომბერს გაუნთავისუფლებიათ ერთი ქართველიც, პოლიტიკური დამნაშავე **გიორგი კონსტანტინეს ძე მახვილაძე.**

კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის კრება მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

წერილი მოსკოვიდან

13 ოქტომბერი

12 ოქტომბერს დაიწყო აქ კრება სრულიად რუსეთის კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიისა. თავმჯდომარედ აირჩიეს გამოჩენილი ვექილი ტესლენკო. მილიუკოვი მიუბრუნდა კრებას დაახლოვებით შემდეგის სიტყვით: „მიზანი ჩვენის კრებისა იმაში მდგომარეობს, რომ დავაარსოთ უზარმაზარი პოლიტიკური პარტია. ამ პარტიას სახელად ეწოდება კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია. ეს პარტია დაარსდა უკვე, დიდიხანია. მაგრამ მხოლოდ ახლა იგი თამამად გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე და აღარა მალავს თავის ვინაობას. იგი შესდგა ორის ჯგუფისაგან. პირველი — „კავშირი განთავისუფლებისა (союзъ освобожденія), მეორე — „კავშირი კონსტიტუციის მომხრე ერობის წევრებისა“. ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა უკანასკნელ წელში იყო ან შედეგი სოციალისტურ პარტიების მოღვაწეობისა, ან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ ორ ჯგუფის მოღვაწეობასთან. მართალია, ამ ჯგუფებში შედიოდნენ ისეთი წევრები, რომელნიც არ იყვნენ ერთ და იმავე სოციალურ და პოლიტიკურ იდეალების მოტრფიალენი, მაგრამ მათ აკავშირებდა მტკიცე შეგნება, რომ ესე ცხოვრება აღარ იქნება, რომ უნდა თანამედროვე წეს-წყობილება დაინგრეს. ამ ბრძოლაში ზოგი მიზანს ხედავდა, ზოგი ბრძოლის საშუალებას უფრო უკეთესს წეს-წყობილების დამყარებისთვის, მაგრამ ყველა თანახმა იყო იმაში, რომ მათ აკავშირებს და ჰქმნის ერთ პარტიად პოლიტიკურ განთავისუფლებისადმი მისწრაფება. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს ამ ორის ჯგუფის წევრები, უფრო ნათლად ხედავდნენ, რომ მათ აკავშირებს არა მარტო პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლა, არა მარტო კონსტიტუციისადმი მისწრაფება, არამედ დემოკრატიული პრინციპებიც. სოციალური, ფინანსიური, აგრარული და სხვა რეფორმები — აი ის მიზანი რომლისკენ მიისწრაფის რუსეთის ცხოვრება, და რომლისთვისაც სჭირია მუშა ხალხს პოლიტიკური თავისუფლება. ამ საერთო მისწრაფებამ დაჰბადა კავშირი.

ეს კავშირი იყო დაფუძნებული არა კლასსიურ ნიადაგზე, არამედ იდეიურ ნიადაგზე. კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული იდეალები გამეფდნენ. ყველა ერობის წარმომადგენლების კრებებზე. სექტემბერში მომხდარმა ერობის და ქალაქების წარმომადგენელთა კრებამ ისეთი რეზოლიუციები მიიღო, როგორსაც ჩვენი პარტიის ბიურო ადგენდა. ამნაირად ჩვენი პარტია დაარსდა ამ ორი ჯგუფისაგან, რომელსაც აახლოვებდა საერთო პოლიტიკური მიზანი. შესაძლებელია, რომ ჩვენ შორის ბევრის კითხვის შესახებ სხვადასხვა აზრი იყოს, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს გარემოება ხელს ვერ შეუშლის პარტიის დაარსებას, რადგანაც 6 აგვისტოს კანონის შემდეგ, ჩვენ ნათლად ვხედავთ მომავალ მოღვაწეობას და ყველანი თანახმა ვართ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საბჭო უნდა გადავაქციოთ დამფუძნებელ კრებად. გარდა ამისა ჩვენ მკაცრად განვსხვავდებით ყველა პარტიებისაგან. კონსერვატორები ჩვენ გვაბრალებენ, ვითომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ რუსეთის მთლიანობისა და გვინდა კერძო საკუთრების მოსპობა. რასაკვირველია ეს ცილისწამებაა.

ჩვენ გვწამს კერძო საკუთრებაც და რუსეთის მთლიანობის საჭიროებაც; მაგრამ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ცენტრალიზაციისა. ჩვენ მოწინააღმდეგეებს ჰსურთ დაიცვან ვიწრო ინტერესები რუს აგრარიების და მრეწველობისა. ჩვენი პარტია, რასაკვირველია, ამ ინტერესებს არ დაიცავს. რაც შეეხება ჩვენ მარცხენა მოწინააღმდეგეებს, მე სიამოვნებით ვეტყოდი მოკავშირეებს, რომ ჩვენ იმადგანაც განვსხვავდებით, მაგრამ ეს განსხვავება სულ სხვა ხასიათისაა.

ჩვენც მარცხენა ფრთას შევადგენთ თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაგრამ ჩვენ არა ვთხოულობთ დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებას და წარმოების იარაღის გასაზოგადოებრივობას. ზოგი ჩვენგანი ამ სოციალისტურ ლოზუნგების წინააღმდეგნი არიან პრინციპში, ზოგი კი იმ აზრისაა, რომ ეს ლოზუნგები პრაქტიკულ პოლიტიკის საზღვრებში არ არსებობს. მაგრამ სანამდის შეიძლება საერთო მიზნისკენ ერთად სვლა, ჩვენი პარტია იმოქმედებს, როგორც მჭიდრო და მთლიანი ორგანიზაცია. რასაკვირველია, ჩვენი იდეალები რუსის საზოგადოებისთვის მეტის მეტი ახალი რამ არის, ისე რომ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საზოგადოებრივი აზრი ჩვენ მხარეს დაიჭერს, მაგრამ, მომავალში, ეჭვი არ არის, ჩვენ იდეალებს დააფასებენ“.

ამის შემდეგ ბ. მილიუკოვმა მოკლედ აღნიშნა, რა უნდა მოიქმედოს პარტიამ ახლო მომავალში:

„თითქმის ყველა ჩვენგანს გარდაწყვეტილი აქვს, რომ პირველი ნაბიჯი ჩვენის მოღვაწეობისა უნდა იყოს — შესვლა სახელმწიფო საბჭოში იმ მიზნით, რომ მოვიპოვოთ ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლება და დავაარსოთ რუსეთში ნამდვილი „წარმომადგენლობა“. მეტია აღნიშვნა იმ გარემოებისა, რომ ჩვენ მტკიცედ გარდაწყვეტილი გვაქვს, ვიმოქმედოთ უკომპრომისოდ და მაღლა გვეჭიროს ის დროშა, რომელიც უკვე ააფრიალა „გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ“, ესე იგი, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ დამფუძნებელ კრებისათვის, რომელიც უნდა არჩეულ იქმნას საერთო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით“.

მილიუკოვის სიტყვის შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის შემუშავებას. პროგრამას შემდეგ წერილში შეგატყობინებთ, ახლა კი გიამბობთ იმ ინცინდენტს, რომელიც მოხდა კრების დროს. როდესაც კრება არჩევდა პროგრამის იმ მუხლს, რომელიც ეხება კრების თავისუფლებას, კრებაზე გაჩნდა პოლიცმეისტერი ნასკოვი ბოქაულებით. თავმჯდომარემ მათ ყურადღება არ მიაქცია და კრება განაგრძო. პოლიცმეისტერი მივიდა თავმჯდომარესთან და წაიკითხა გრადონაჩალნიკის ბრძანება, რომლის ძალითაც პოლიცმეისტერი მოვალე წავიდეს თავად დოლგორუკის სახლში და დაშალოს კრება ეგრედ წოდებულ კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიისა და თუ კრება თავის ნებით არ დაიშლება, მაშინ პოლიცმეისტერი მოვალეა ძალა იხმაროს.

თავმჯდომარე ტესლენკომ უპასუხა, რომ გრადონაჩალნიკის მოქმედებას უკანონოდ სთვლის და ამიტომ კრება არ დაიშლება. დანარჩენზე თავმჯდომარეს პოლიცმეისტერთან ლაპარაკი არა სსურს და სთხოვს ორატორებს განაგრძონ სიტყვა.

წამოდგა ცნობილი ვექილი მაკლაკოვი და სთქვა, რომ საკმარისი არ არის პროგრამაში იყოს მუხლი: „კრების თავისუფლება“, საჭიროა იყოს აღნიშნული, რომ ყველა, ვინც დაარღვევს კრების თავისუფლებას, სისხლის სამართალში იქმნეს მიცემულიო. „მაშინ, — სთქვა მაკლაკოვმა, — დაუსჯელად არ დარჩება ისეთი უზდელი საქციე-

ფელეტონი

ომი ქუჩაში

(22 ოქტომბერს თვალით ნახული)

შუადღის ორი საათი იქნებოდა. ნაცნობებიდან გოლოვინის პროსპექტით სახლში ვბრუნდებოდი. ჯერ კიდევ ბარიათინსკის ქუჩამდე არ ვიყავ მისული, რომ გოლოვინის პროსპექტის თავში მომესმა რაღაც ღრიანცელი, „ურას“ დაუსრულებელი ძახილი და სამხედრო მუსიკის ხმა. მაშინვე მივხვდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო მთავრობისაგან ეგრედ წოდებული „პატრიოტული პარტია“, რომელსაც ხალხი „ხულიგანებს“ ეძახის.

ღრიანცელის გაგონებამ და გზაზე ამ პარტიის შეხვედრის აუცილებლობამ, ცუდ გუნებაზე დამაყენა და გვერდის აქცევა დავაპირე, მაგრამ ერთ ალაგს გავჩერდი: მინდოდა ახლოს მენახა ეს სიძულვილით გამსჭვალული ხალხი იმ მებრძოლთა მიმართ, რომლებმაც მოუპოვეს მათ თავისუფლება. მინდოდა მენახა და თვით ადამიანის სახეზე ამომეკითხნა ის აუხსნელი გარემოება, რომელიც, რაც ადამიანის ცხოვრებას ჩავუკვირდი, მუდამ მაწუხებს, ვცდილობ მის ახსნას და ვერ მომიხერხებია: ადამიანი ერთ და იმავე საგანს რატომ არ უყურებს ერთგვარად, ერთ და იმავე მოვლენას რად ხსნის სხვანაირად? ზოგს თეთრი რად ეჩვენება შავად, შავი კი თეთრად?

ღრიანცელი და მუსიკის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. წინ მიუძღოდათ დრაგუნთა რაზმი, მოჰქონდათ მაღლა აფრიალებული ეროვნული დროშები. პროცესია მოდიოდა ნელის ნაბიჯით, ცხადია, იმ განზრახვით, რომ მაყურებლებზე სასურველი შთაბეჭდილება მოეხდინათ.

მაყურებლები კი მათ მოახლოვებაზე გარბოდნენ და შესახვევ ქუჩებში თავს აფარებდნენ. ვინც რჩებოდა, ძალმომრეობას ემორჩილებოდა და, პროცესიის მოახლოვებაზე, ქუდს იხდიდა და ნაძალადევად „ურას“ ჰყვიროდა.

ვიდექ ისევ იმ ალაგას და სხვადასხვა გრძნობა მიტრიალებდა გულში. ჩემს ახლოს ჯარი იდგა. აფიცრებს სახეზე გაუგებარ ზრუნვას და მოუსვენრობას ვატყობდი. ერთიერთმანეთთან ხშირად დარბოდნენ, გადაფითრებულნი ერთმანეთს რაღაცას საიდუმლოდ გადასცემდნენ და თავიანთ რაზმებს ახალ-ახალ განკარგულებით უბრუნდებოდნენ, ხან ქუჩის სიგანეზე გაშლიდნენ რაზმს, ხან ისევ შეაჯგუფებდნენ და გვერდზე მიაყენებდნენ, ხან ერთი რაზმი მეორის ალაგს იჭერდა. მხოლოდ შემდეგში მივხვდი, რომ ისინი... ემზადებოდნენ.

ღრიანცელი და ბაირაღები კი ახლოვდებოდა. გული ამიჩქროლდა, საფრთხეს ვხედავდი, ვგრძნობდი, რომ ან რწმენისთვის უნდა მეღალატნა და საზიზღარ ძალას დავმორჩილებოდი, ან თავმოყვარეობა უნდა შემელახა და გავქცეულიყავ. ეს უკანასკნელი ვარჩიე და... გავიქეცი.

ჩემი თავი, როგორც მშიშარა არსება, მეზიზღებოდა. თანაც ვსწყევლიდი კაცობრიობას და ქვეყანას, სადაც, როგორც დღეს, ისე ბევრჯერ, შელახულა ბედკრული ჩემი თავმოყვარეობა.

ქუჩის ნახევარი აღმართი რომ ავირბინე, გავჩერდი და უკან მოვიხედე. პროცესიის თავი დაუპირდაპირდა იმ ქუჩას, სადაც ვიდექ: გამოჩნდა დრაგუნთა რაზმი, მას მიჰყვა ქუდ-მოხდილი, მუნდირებში გამოწყობილი რამდენიმე იუნკერი და სხვადასხვა უწყების მოხელენი; გამოჩნდა ბაირაღებიც. ჯარმა გზა მისცა და მზად იყო მათთვის ყველაფერში დახმარება გაეწია.

ქუჩის შესართავთან იდგა თავმოყრილი ხალხი, მომეტებულად მოსწავლე ახალგაზდობა, რომლებსაც ხელები ჯიბეში ჩაეწყოთ და სეირს უყურებდნენ.

მოწინავე რაზმი „ხულიგანებისა“, ვით მგლები ცხვრის ფარას, ამ ჯგუფს დაერია.

— Снимай шапки, мер...! — გავიგონე მხოლოდ და ყველაფერი აირია.

ეს სიტყვები, ქვის სროლა და თოფების ჭახაჭუხი ერთად, ერთ წამს, მოხდა. მშვიდობიანად მოსიარულე ხალხი გაფრთხა, ერთი-ერთმანეთს მიასკდა და თოფის სასროლ ნიშნად გახდა. ზოგი ვარდებოდა და მიწაზედვე რჩებოდა, ზოგი კი უცბად წამოვარდებოდა და ისევ გარბოდა. თოფების რახი-რუხში ხალხის წივილ-კივილი, კვნესა აღარ ისმოდა...

სურათი იყო დიდებული — გულმაგარ, ძლიერ გრძნობების მოყვარულ ადამიანისთვის, საზარელი — გულჩვილ, ნერვებ-აშლილისთვის და საზიზღარი — ჭკვიანსა და ცხოვრებაში კარგად ჩახედულ ინტელიგენტისათვის.

პირველად თავ-ზარი დამეცა, ჩემ თავს ანგარიში ვერ მივეცი: რა მოხდა და რად მოხდა?! მაგრამ აქა-იქ წაქცეულის რამდენიმე კაცის ნახვამ გამომაფხიზლა, მივიხედ-მოვიხედე და... აქ კი თავმოყვარეობამ გაქცევის ნება არ მომცა. კედელს ავეკარ და, როგორც თეატრში საზარელ დრამის მხილველი, აჩქროლებულის გულით არემარეს თვალს ვადევნებდი.

შენობებს აყარებულ ტყვიებისაგან მტვერი ასდიოდა. ქუჩის შუაგულში, ქვებზე პირაღმა ეგდო უქუდოდ გადაშხლართული ვიღაც აფიცერი. ჩემსკენ გამორბოდა ერთი ღარიბად ჩაცმული — ყმაწვილი კაცი, ჩემამდინ ვეღარ მოახწია, უცბად წატორტმანდა, ქუდი გადაუვარდა, თავი შეიკავა და სიარულს უკლო. ეტყობოდა, მხოლოდ სიკვდილის წინაშე შიში და ატანდა ძალას და ფეხებს ადგმევინებდა. რამოდენიმე მანძილი კიდევ გაირბინა, მეორედ შეტორტმანდა და პირქვე დაეცა.

ერთი პატარა, 7—8 წლის ქალი დარბოდა, წინ ხელებ გაშვერილი და, თუ მამაკაცს შეხვდებოდა, თავზარდაცემული ეუბნებოდა:

— Дядя, маму убили!!

თუ ქალს შეხვდებოდა:

— Тетя, маму убили!!

უბედურს ყურადღებას არავინ აქცევდა.

ტყვიები ზუზუნით დაჰფრინავდნენ ქუჩებში. ქუჩის ქვებს ალაგ-ალაგ მტვერი ასდიოდა. სროლა ერთხანს შესწყდა, გაისმა ღრიანცელი გამარჯვებულ მანიფესტანტებისა, მაგრამ გავარდა ერთი, ორი და გაჩნდა ისევ ხშირი, ერთიერთმანეთში არეული, სროლა.

ერთი მოხელე ქუჩაში დარბოდა, ქვებს ეძებდა და გაშმაგებული სახლის ფანჯრებს ესროდა. დამავიწყდა განსაცდელი, ვეღარ ვხედავდი ქუჩებში დავარდნილ ადამიანებს, აღარ მესმოდა თოფის სროლა, ვიდექ და... ამ მოხელეს ვადევნებდი თვალს. შუა ხნის კაცი იყო, სახეს კარგად ვერ ვარჩევდი, ქუდი დაჰკარგოდა, მუნდირის კალთები უფრიალებდა, გაშმაგებული ქვებს დაეძებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისროდა. გარშემო კი ტყვიები ზუზუნებდნენ. ის ან უნდა ყოფილიყო მამაცი ადამიანი, რომელიც სიკვდილს გულ-გრილად შესცქერის, ან მთვრალი, რომელსაც ზღვა რუდ ეჩვენება. მგონია, რომ მთვრალი უფრო იყო.

ჩემს ახლოს, დაცემულ დაჭრილს შევხედე. იმანაც შემომხედა და გველივით ადგილიდან დაიძრა. კარგა ხანს იხოხა მუცლით ქვებზე, ყოველ განძრევაზე სახეზე უზომო ტანჯვა ეხატებოდა, მაგრამ მაინც ჩემსკენ მოცოცავდა. როგორც იყო, მოაღწია ტროტუარს, რომელიც ცოტა ამაღლებული იყო, და გაჩერდა, ზედ ვეღარ ამოვიდა. კედლიდან გადავწვდი, ხელი სახელოში დავავლე და კედლის ძირას მივითრიე.

ჩემს პირდაპირ, კაზაკთა სადგომის ალაყაფის კარებთან, სროლის დაწყებისათანავე, გამოვარდა რამდენიმე კაზაკი, ახალუხა, თოფებით ხელში და ამათ ზევიდან დაუწყეს სროლა შუაში მომწყვდეულ „მტერს“. როგორც მონადირენი ტყეში ძაღლების ყეფაზე დარბიან უგზო-უკვლოდ და თვალებს აფაციცებენ, წამოგდებულ ნადირის სად მოჰკრა თვალი, ისე დარბოდნენ ეს მეომარნი ქუჩებში და უთვალთვალებდნენ, ვის სად ნახავდნენ გაქცეულს, ან ამოფარებულს, რომ თავის ამხანაგებს არ ჩამორჩენოდნენ და იმათაც ჟინი მოეკლათ, ერთი ორი იმათაც ემსხვერპლათ. ერთ მათგანს დაჰქონდა ქისტის დიდი ყუთი და „მეომართ“ თოფის პატრონებს აწვდიდა.

ალაყაფის კარებიდან გამოვარდნილ ყოველ კაზაკს პირველად მე ვეცემოდი ხოლმე თვალში, რადგან ამ ქუჩაზე „დამარცხებულ ჯარისაგან“ მხოლოდ ერთი მე-ღა ვიყავი. კაზაკი ჩახმახ-აყენებულ თოფით შემომხედავდა და დამცქერდებოდა. ვგრძნობდი კარგად, ჰფიქრობდა: ვინ არის ეს? ვესროლო, თუ არ ვესროლო? ვუყურებდი თოფის ლულას და გული ადიოდ-დადიოდა. — ხომ შეიძლება, ახლა, აი, ამან, — ვფიქრობდი მე, — სისხლის წყურვილის მოსაკლავად, მოსწიოს ჩახმახს და მესროლოს! მაგრამ მე დამიხსნა იმ გარემოებამ, რომ არ ვიყავი არც მუშა, არც სტუდენტი და არც გიმნაზიელი. ყოველი მათგანი მხოლოდ მათვალიერებდა და სანადიროდ სხვა ქუჩებისკენ გარბოდა.

რას ვგრძნობდი იმ დროს? სიმართლეს არ ვუღალატებ, თუ ვიტყვი, რომ — არაფერს! გონება არ დამიკარგავს, გარშემო რაც ხდებოდა, კარგად ვხედავდი, ნამდვილი შიში, როგორადაც მე მესმის და წარმოდგენილი მაქვს, არ მიგრძვნია. ვიდექ და ვფიქრობდი: აი, ახლა მომხვდება ტყვია, აი, ახლა-მეთქი! ნეტავ სად მომხვდება, ვეკითხებოდი ჩემს თავს — ფეხსა, გულსა, თუ თავში? არ მინდოდა, რომ ტყვია თავში მომხვედროდა, ასე მეგონა, თავში რომ მომხვდებოდა, მეტკინებოდა, სხვაგან კი არა. შეიძლება ზედ ის გრძნობაც ემატებოდა, რომ სხვა ადგილას, შესაძლო იყო, სიკვდილს გადავრჩენილიყავ, მხოლოდ დავჭრილიყავ, თავში კი სიკვდილი აუცილებელი იქნებოდა.

„ბრძოლა“ კი მეტად გამწვავებული იყო. ამ გვარად რუსეთ-იაპონიის ომში იაპონელებს არსად არ გაუმარჯვნიათ, არც დაშიჩაოსა, არც ვაფანგოუსა, არც ლიაოიანსა და არც მუკდენთან. „მტერი“ გარბოდა თავზარდაცემული. (რა მარჯვეა უიარაღო მტრის წინაშე ადამიანი!)

„სიმაგრეებს“ იღებდნენ ადვილად და უმსხვერპლოდ, „ნადავლიც“ ბევრი იშოვნეს!

სროლამ რამდენს ხანს გასტანა, არ ვიცი. ზოგი ამბობს, ორ საათსო. ნამდვილად ვერ ვიტყვი, ხუთ წამს გასტანა, თუ მართლა ორ საათს. სროლა თანდათან მიწყდა. გამარჯვებულნი ჯარის კაცნი და კაზაკები შეცვივდნენ იმ სახლებში, რომლებსაც მანამდისინ ტყვიებს უშენდნენ. (იქ რა მოხდა, ვინ მოჰკლეს, ვინ გაძარცვეს, ვინ დაატუსაღეს, მიმინდვია მათთვის, ვინც იმ დროს იმ სახლებში იყო!) გავიდა კიდევ ხანი და თოფის ხმა აღარ ისმოდა. მანიფესტანტებმა, იმათ, ვინც „სამხედრო დავლაზე“ უარი სთქვეს, ან ვერ მოისაზრეს, რომ ნაშოვრობა შესაძლებელი იყო, თავისი გზა განაგრძეს: ჯარმა გზები ყველგან შეჰკრა. ჭექა-ქუხილმა გადიარა, შემეძლო ახლა ჩემს „საფარ“ მოვშორებოდი, მაგრამ ერთ ალაგას ვიდექი.

უცბად კაზაკთა გინებას მოვკარ ყური და მარცხნივ მივიხედე. ერთი სახლის ალაყაფის კარებთან, ვიღაც უთოფო ჯარის კაცს, მგონია, რომელიმე სამხედრო პირის მოსამსახურეს, ერთ დაგლეჯილ-ტანისამოსიან, უწვერ-ულვაშო ჭაბუკისთვის საყელოში მაგრა ჩაევლო ხელი და ქუჩაში მოათრევდა. მსხვერპლს ქუდი დაჰკარგოდა, თმა აწეწოდა და ცალი თვალი აღარ ჰქონდა, მის მაგივრად წითელი დიდი ლაქა მოსჩანდა.

შორიახლო მდგომ კაზაკებმა თვალი მოჰკრეს და იმათკენ გაექანენ.

— Кто это?

— Поймалъ!

რამდენიმე კონდახი ერთად აიმართა და დაეშვა საცოდავის თავსა, კისერსა და ზურგზე. ჭაბუკმა წაიკეცა, მაგრამ სალდათს მაგრად ეჭირა ხელში და ფეხზე წამოაყენა.

— Бей его...!

— Ишь, ты!

ხიშტები არ ჰქონდათ, კონდახებით სცემდნენ. ბედკრული ხან ერთს მხარეს აწყდებოდა, ხან მეორეს, ხან ძირს ეცემოდა, ხან დგებოდა და საღ თვალში ხან შიში უელავდა, ხან მუდარა.

ცქერა ვეღარ შევძელ, კედელს მივესვენე და, წინა საზარელ სურათის გულ-გრილად მაყურებელს, გული ამიჩუყდა, თვალებიდან ცრემლები გადმომსქდა.

ხვ. ყიფიანი.

ლი, როგორც ბ-ნ ნასკოვის „საქციელიაო". ამ სიტყვებს მაკლაკოვი ამბობდა მეტად მკაცრად და ისე ახლო მიუახლოვდა პოლიცმეისტერს, რომ მსმენელს ეგონებოდა ყურში ჩასძახისო. ნასკოვი უშნოდ იღიმებოდა და ბოლოს გაიმეორა, რომ კრება კანონის ძალით უნდა დაიხუროს. თავმჯდომარემ აიღო ზარი და ნასკოვს ცხვირ წინ უწკარუნებდა. „მე თქვენ სიტყვა არ მოგეცით, და როგორ არ გესმით, რომ თქვენი ლაპარაკი უზდელობააო". მაშინ ნასკოვმა სთქვა, რომ იძულებულია „გოროდოვოებიʻʻ შემოიყვანოს და კრება ძალით დახუროს.

ნასკოვი გავიდა და კრებამ გულ-დამშვიდებით თავისი საქმე განაგრძო. პატარა ხნის უკან ნასკოვი ისევ შემოვიდა და ითხოვა, ნება მომეცით კრებას მეც დავესწრო და ყველას გვარები ჩავიწეროო. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ არავისთვის საიდუმლო არ არის არც ჩვენი ვინაობა, არც ჩვენი მიზნები, პირიქით, რაც უფრო ბევრნი გაიგებენ ჩვენს მოღვაწეობას და ვინაობას, ჩვენთვის უფრო სასარგებლოა. რაც შეეხება თქვენს აქ დარჩენას, ჩვენ ამის ნებას არ გაძლევთ, მაგრამ რადგანაც ჩვენი გავლენა—მხოლოდ მორალური გავლენაა და ფიზიკურ ძალას ჩვენ არასდროს არა ვხმარობთ, ამიტომ შეგიძლიანთ „ძალად" დარჩეთ. პოლიცმეისტერი დარჩა და მის უკან ვიღაცა პირი დასკუპდა. მაშინ ერთი ორატორი წამოდგა და სთქვა, რომ პოლიცმეისტერმა ითხოვა ნება კრებაზე დასწრებისა, მაგრამ იმის გარდა ჩვენ აქ ვხედავთ მის ჯაშუშსაცაო.

„რად აყენებთ შეურაცხყოფას, უსაყვედურა ნასკოვმა: ეს კაცი ჯაშუში არ არის". მაშინ ორატორმა ირონიულ ღიმილით წარმოსთქვა: „მე უნდა აღვნიშნო სასიხარულო ფაქტი, რომ პოლიციის წარმომადგენლის აზრითაც კი სიტყვა ჯაშუში შეურაცხყოფა ყოფილა"!

შ. ნ.

17 ოქტომბრის მანიფესტი და რუსეთის პრესსა.

17 ოქტომბრის მანიფესტს მოსკოვის გაზეთები აღტაცებით მიეგებნენ (პეტერბურგის გაზეთები მხოლოდ 22 ოქტომბერს გამოვიდნენ). კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო „რუს. ვედ.", რომელმაც თავის ცხოვრებაში —43 წლის განმავლობაში—არა ერთი შავი დღე ნახა, გადამეტებულის სიხარულით ეგებება რუსეთის განთავისუფლებას:

მაშ ასე,—სწერს ზემოხსენებული გაზეთი მანიფესტის გამოცხადების პირველ დღეს,—ის, რისთვისაც რუსეთის საუკეთესო საზოგადოების რამდენიმე თაობა იბრძოდა, ის თავისუფლება, რომლისთვისაც იტანჯებოდა და იღუპებოდა ჩვენი აუარებელი ახალგაზდობა და მოხუცნი, ხალხისა და მოქალაქეთა ის უფლებანი, რომელთაც უკანასკნელ დროს თხოულობდა მთელი რუსეთი, მისი ინტელიგენცია, ყველა მისი შეგნებული და პატიოსანი მამულიშვილი და ყველა მშრომელი,—ეს უფლებანი, როგორც იყო, მოგვეცა (?) და მათი გაფართოება და დამკვიდრება ამიერიდან სახელმწიფო საბჭოზედ დამოკიდებული. მაშ მივულოცოთ ერთმანეთს ჩვენი სურვილებისა და მისწრაფებათა განხორციელება და ისე გადავეხვიოთ ერთმანეთს, როგორც თავისუფალ რუსეთის თავისუფალი მოქალაქენი!".

„რუს ვედ."-ს სიხარულით „რუს. სლოვომ" გადააჭარბა:

„დღეს რუსეთის ქვეშევრდომი უფლებით მოცულ მოქალაქედ გადაიქცა, გუშინ კი მისი პიროვნება ტალახში ილახებოდა. დიდი ხნის საშინელ ძილის შემდეგ დღეს ის ფეხზე დგება და თავისუფლად, მედგრად და ამაყად იძახის:—მე—რუსეთის მოქალაქე ვარ!

დღეს ახალი ცხოვრება დაიწყო, რუსეთის ისტორია ახალ გზაზე შედგა. რუსეთი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მონა იყო და მის ისტორიაში ისეთი სასიხარულო და დიდებული დღე, როგორც დღეს არის, მეორე არ არსებობს. ბოლო მოეღო თვითნებობასთან ბრძოლას (?), დაიმსხვრა პატიმარის ბორკილი. მაშ გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთს!

წყეულიმც იყოს წარსული, წყეულიმც იყოს ციხის სიბნელე, სადაც იღუპებოდა ჩვენი სულიერი დიდება, სადაც იღუპებოდნენ ჩვენი შვილები, ძმები, დები, სადაც იღუპებოდა მთელი რუსეთი!

რეაქციონურ გაზეთებიდან ხმა ამოიღო მხოლოდ „რუს. ლისტ."-მა, სხვები კი—„მოსკ. ვედ." და „მოსკ. ლის." ბნელ სოროებში შემძვრალან და კრინტსაც არ სძრავენ იმ მანიფესტის შესახებ, რომელიც მათ ცეცხლის მახვილად მოევლინა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ბნელ ორმოებიდან ხულიგანები და „პატრიოტები" ამოძვრნენ და მთელ რუსეთს ანარქიის ცეცხლი მოსდეს, „რუს. ვედ." გონს მოვიდა და აღიარა, რომ

„რუსეთს თავისუფლების შობა ძალიან გაუჭირდა. რას მივაწეროთ რით ავხსნათ ის სიმხეცე, რომელიც კაზაკებმა და „პატრიოტებმა" ჩაიდინეს მთელ რუსეთში? პეტერბურგის ბიუროკრატები ამბობენ, ვითომ ჯარი ისე იყოს გაბრაზებული, რომ მისი შემაგრება შეუძლებელიაო. ამით მთავრობამ თვითონვე აღიარა, რომ მთავრობას სრული ანარქია სწევია, მაგრამ მიუდგომელ კაცისთვის ეს სიტყვები მთავრობის მხრით ურცხვი დაცინვა და ირონიაა. არა, ბატონებო, თქვენ უნდა შეიმაგროთ ჯარი. თუ თქვენ რუსეთში მართლა თავისუფალ რეჟიმის დამყარება გინდათ, თუ თქვენ გულწრფელად გსურთ მშვიდობიანობა და სიწყნარე, ხალხს რევოლუციის გზაზე ნუ აყენებთ, ნუ აბრაზებთ, ნუ სცდით იმის მოთმინებას; ერთ და იმავე დროს აცხადებთ, ამიერიდან რუსეთში პიროვნება ხელუხლებელია და ჯარსაც ბრძანებას აძლევთ, პატრონებს ნუ დაიშურებთო. ახალ ღვინისთვის ახალი ტიკები უნდა მოსძებნოთ. ხალხის თავისუფლებას წინ ნუ უყენებთ იმათ, ვინც მხოლოდ ამ თავისუფლების შესაზღუდად ვარგოდა, ახლავე მოგვაშორეთ აქედან კაზაკები, რომელთაც მთელ რუსეთს თავი შეაძულეს და შეაზიზღეს; ახლავე გამოუცხადეთ წესრიგის მცველებს, რომ ამიერიდან ისინი იმის გამო კი არ აგებენ პასუხს, რომ ქუჩაში მშვიდობიანი მანიფესტანტები არ გაფანტეს, არამედ იმის გამო, რომ სისხლი დაიღვარა, იმის გამო, რომ მოქალაქენი დაშავდნენ, იმას გამო, რომ თავისუფლებას შეურაცხყოფა მიაყენეს; ახლავე გამოაცხადეთ ხმამაღლა, რომ პასუხის-მგებლობა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ სამსახურიდან დაითხოვენ, ან დროებით სხვაგან გადაიყვანენ, არამედ ნაფიც მსაჯულთა წინ წარსდგებიან,—მიუხედავად იმისა, პატარა მოხელე იქნება ის, თუ ბოლოდა ბიუროკრატი. ნუ იგვიანებთ ნურც ერთ წამს და სიტყვიერი თავისუფლება საქმედ გადააქციეთ: მხოლოდ ამით შეგიძლიანთ ცოტათი მაინც დაამშვიდოთ უკვე ათასჯერ მოტყუებული ხალხი, მხოლოდ ამით შეიძლება თავიდან აშორება იმ მომავალ საშინელებისა, რომელიც მუდამ ბოროტ მთავრობის დაგვიანებით არის ხოლმე გამოწვეული".

„სინ ოტეჩესტვა" სწერს:

ის ეპიური ბრძოლა, რომელიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში იყო გაჩაღებული, თავდება. მთელ ქვეყანაზე არც ერთი სახელმწიფო არ არის, სადაც დიდებულ ერას ინტერესები მთავრობას ისე დაემორჩილებინოს თავისთვის, როგორც რუსეთის მთავრობამ დაიმორჩილა. ხალხის ცხოვრების ყოველი მხარე დაუმორჩილეს სტიქიონივით უსულო და სიკვდილივით ცივ პოლიტიკას, იმ პოლიტიკას, რომლისთვისაც თვითპყრობელობის ხელუხლებლობა მიზნად ჰქონდა გადაქცეული. ამ პოლიტიკამ რუსეთს ჯერ სევასტოპოლი აჩვენა და მერე იაპონიასთან სამარცხვინო და საზიზღარ ომით გათავდა; რუსეთში განუწყვეტელი სიმშილი დაიწყო, რუსეთი ყელამდის ვალებში ჩავარდა, სახელი და ნდობა დაეკარგა და სხვა სახელმწიფოებს ყველგან და ყველაფერში უკან ჩამორჩა.

ძვირად დაუჯდა რუსეთს თავისუფლება:

მებრძოლთა ძვლებით ციმბირის საშინელი და ყრუ მინდვრები სავსეა; მათ წმინდა საფლავებს მგზავრი კვრთვის ყველა სასაფლაოზე შეხვდება; მათი სისხლით მთელი რუსეთია მორწყული. არ არის ისეთი სასჯელი, რომელიც „ძველ რეჟიმს" მათთან ბრძოლის დროს არ ეხმარნა. რუსეთის თავისუფლებისთვის მებრძოლთ არჩობდნენ, ხვრეტავდნენ, ათ წლობით ციხეებში ამწყვდევდნენ, ორმოებში აწამებდნენ, ლუკმა პურის შოვნის ნებას არ აძლევდნენ, აოხრებულ და უდაბნო ადგილებში ასახლებდნენ და სიცივესა და სიმშილს მსხვერპლად სწირავდნენ. მაგრამ „ძველ რეჟიმს" ვერაფერმა უშველა. მისდამი სიძულვილი დღითი დღე მატულობდა და ამ სიძულვილს მამები თავიანთ შვილებს—როგორც ღვთაებრივ დავალებას და საუკეთესო ხსოვნას—ანდერძად უტოვებდნენ.

გაზეთის სიტყვით, 17 ოქტომბერს თვითპყრობელობამ თავის უფლებაზე უარი განაცხადა და საბრძოლველი ველი დაუთმო.

ეს უფლებანი რომ ნაჩუქარი იყოს, შეიძლება ხვალვე წაგვართვან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს უფლებანი ჩვენ მოვიპოვეთ და მისი განხორციელებაც ჩვენზეა დამოკიდებული. მანიფესტის მიერ გამოცხადებული თავისუფლება ის გზა არის, რომელიც დამფუძნებელ კრებისკენ მიდის. ჩვენ რევოლუციის დროს ვცხოვრობთ. სარევოლუციო ძალები ერთ და იმავე დროს ძველ შენობასაც ანგრევენ და ახალსაც აშენებენ".

ხალხმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს ყველა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება, თორემ

თუ მთავრობა იმდენად დაბრმავდა, რომ ყველა საგულისხმო პოლიტიკური პატიმრები არ გაანთავისუფლა, თავისუფალი ხალხი თვითონ მოაგონებს მას ამ ჯიუტობის შედეგს და თვითონვე მოითხოვს თავის საყვარელ გმირების, თავის წმინდა მოწამეთა და ჯვარცმულთა განთავისუფლებას.

„ნოვოე ვრემია" სწორედ იმ გზას დაადგა, რომელიც მოსალოდნელი იყო: გუშინ მთავრობა რეპრესიის გზას ადგა და „ნოვოე ვრემიაც" ბანს აძლევდა; დღეს მთავრობამ პირი იცვალა და ნდობა-შერიგებას და ძველის დავიწყებას თხოულობენ და „ნ. ვ."-ც მიძახილს ეუბნება.

„რუსეთი უნდა შერიგდეს. ის დაიღალა. მას დასვენება უნდა. მან უნდა აპატიოს (ვის?). 17 ოქტომბერს მოპოვებული უფლებანი რამდენიმე თაობის მედგარ ბრძოლის ნაყოფია. არა ერთი და ორი მსხვერპლი მოითხოვა ამ ბრძოლამ. 1825 წლიდან განუწყვეტლივ იზრდებოდა იმ მებრძოლთა სია, რომელთაც საქმე ბედნიერება, კეთილდღეობა, ოჯახური სიხარული და სიცოცხლე თავის საყვარელ მამულს შესწირეს. ისინი იქნება ჩქარობდნენ, იქნება სცდებოდნენ, მაგრამ იმათ თავიანთი სამშობლო უყვარდათ და ჩადენილი დანაშაული უნდა ეპატიოთ.

ამას ამბობს ის გაზეთი, ის კაციჭამია სუვორინი, რომელიც ყოველ დღე, ყოველ ნომერში მთავრობის ძალის, რეპრესიას, მებრძოლთა მოსპობას, განადგურებას და ქვეყნის პირიდან აღგვას ურჩევდა! მაგრამ—მგელი მაინც მგლიაო—და „ნოვ. ვრემ."-ის მგლური მადა იმავე ნომერში სჩანს, რომელშიაც ზემოხსენებული სიტყვებია დაბეჭდილია:

„ახლა საზოგადოება ორ ბანაკად არის დაყოფილი და, ცხადია, რომელ ბანაკს უნდა მიემხროს მთავრობა".

ე. ი. მთავრობა უნდა მიემხროს „პატრიოტებს", იმ „პატრიოტებს", რომელთაც ტომსკში 600 კაცი დასწვეს, ოდესაში, კიევში, ხარკოვში, როსტოვში და თითქმის მთელ რუსეთში ებრაელები აიკლეს, დაარბიეს,, გაძარცვეს, გაჰქურდეს და ამოდენა სახელმწიფო სისხლით მორწყეს.

ბიუროკრატიაც აკი ისე იქცევა, როგორც „ნოვ. ვრ..ს" უნდა!

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

28 ოქტომბერი.

ამსტერდამი, 27. ლიბერალური ორგანო „ხანდელსბლადტი" ამბობს, საჭიროა დრო და მშვიდობიანობა რუსის მთავრობის ლიბერალურ პროექტების განსახორციელებლად. საჭიროა აგრეთვე, რომ მთავრობის განზრახვას ხალხი ნდობით მოეპყროს.

პარიზი, 27 პრესსა ისევ იმ აზრს ადგას, რომ რუსის საზოგადოების ლიბერალურმა ნაწილმა უნდა ხელი შეუწყოს მთავრობას რეაქციასთან და ანარქიასთან ბრძოლაში. „ჟურნალი" სიამოვნებით შენიშნავს, რომ მთავრობამ დანიშნა გამოძიება უწესოების გამოსაკვლევად და ამბობს, ვიტტე თავის თანამშრომლებით ნდობის ღირსნი არიანო.

რეველი, 27. ფაბრიკები და ქარხნები მუშაობენ; რეველის მაზრაში ყაჩაღებმა გაძარცვეს ათი მამული.

სამარა, 27. გუბერნატორი აცხადებს, უწესოების ჩასაქრობად სასტიკ ზომებს მივიღებო.

კიევი, 27. გუბერნატორი აცხადებს, მრავალი ცნობები მივიღე ქალაქის პოლიციის უწესოდ ქცევისა და ჩადენილ ბოროტ-მოქმედების შესახებო, და წინადადებას აძლევს ყველას, განცხადებები შეიტანონ.

მოსკოვი, 27. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, დემონსტრაციები აღარ ხდება, თეატრები გახსნილია, რესტორანები მუშაობენ. ოთხი დღეა მეტაკვა არ უთვიდა. რკინის გზები მუშაობენ, სტუდენტების თხოვნით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ლექციების კითხვა დაიწყო.

ვენა, 27. „ნეიე-ვინერ-ტაგებლატი" აღნიშნავს გრაფ ვიტტეს უიმედო მდგომარეობას რეფორმების განხორციელებაში. ვიტტე ებრძვის ორ მხარეს: რეაქციას, რომელიც სცდილობს გააქარწყლოს რეფორმები, და რადიკალურ წრეს, რომელიც არაფრით არ კმაყოფილდებიან. გაზეთი ურჩევს რადიკალებს სიფრთხილეს და კონსტიტუციის მხარს დაუჭირონ. ისინი უნდა აღიჭურვონ მოთმინებით და უნდა იცოდნენ, რომ თავის მოქმედებით რეაქციას ხელი არ შეუწყონო.

ოდესსა, 27. ხმები იტალიის კონსულის მოკვლის შესახებ სიმართლეს მოკლებულია. უწესოების გამოსაკვლევად გამოძიებაა დანიშნული. ჯარების უფროსმა განაცხადა, ყოველგვარი საშუალება მივიღე, რომ დარბევა და ძარცვა-გლეჯა აღარ განმეორდესო.

კრონშტადტი, 27. საღამო'ზე მოვიდა ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ჯარი და ტყვიის მფრქვეველნი. უწესოება აღარ მომხდარა. ქუჩებში ხალხი ცოტა დადის, ქალაქში სიჩუმეა.

განჯა, 27. აქ ცნობა მოვიდა, რომ მაჰმადიანთა სოფელი სარისუ სომხებმა გაანადგურეს და ხალხი გაჟლიტეს. მაჰმადიანები მეტად აღელდნენ. სომხების მაღაზიები ერთიანად დაიკეტა.

რიგა, 27. გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ კრებების ნებართვის დროს იხელმძღვანელებს 12 ოქტომბრის დებულებით. ნება დაურთველ მიტინგებს ყოველ საშუალებით ხელს შეუშლიო.

ალექსანდროპოლი, 27. ზარალი ცეცხლისა და დარბევისაგან მილიონ ნახევარს აღემატება. მოკლულია 15 კაცი, დაჭრილია მრავალი.

კიშინევი, 27. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ლონდონი. სტრუვეს ჟურნალი „ოსვობოჟდენიე", შტუტგარდის მაგივრად, პეტერბურგში გამოიცემა.

კრონშტადტი, 27. კრონშტადტის ამბები წუხელის დაიწყო ციხე-სიმაგრის ბატალიონში, სადაც დაპატიმრეს 40 ჯარისკაცი. რადგანაც მათ ფორტებში ჰგზავნიდნენ, პლატფორმაზე შეგროვდნენ მუშები და მდაბიო ზღვაოსნები, რომელთაც ჯარის კაცნი გაანთავისუფლეს. ხალხს რამდენჯერმე დაახალეს თოფები და რამდენიმე კაცი მოჰკლეს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელს ქალაქს, და საღამოს 6 საათზე თავი მოიყარა დიდძალმა მდაბიო მეზღვაურებმა, რომელთაც აიკლეს და გაანადგურეს ოფიცერთა საკრებულო. ოფიცრებმა უკანა კარებიდან თავს უშველეს და მიიმალნენ. საკრებულოს დარბევის შემდეგ ბრბო შეუდგა მაღაზიებისა და არყის დუქნების აკლებას. საღამოს 10 ს. საბრძოლველად გამოიწვიეს რამდენიმე როტა, რომელიც გარს შემოერტყა აღელვებულ ხალხს და სროლა აუტეხა. ხალხი დაიფანტა, მაგრამ ისევ ჩქარა შეგროვდა. მებრძოლი როტები ამის შემდეგ აღარ გამოჩენილან. მთელს ქალაქში შეიქმნა რბევა და ხანძრები. დაარბიეს მაღაზიები და არყის დუქნები. სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. სწვავდნენ და ჰკლავდნენ ყველას, ვინც კი წინააღმდეგობას გაუწევდა. ცეცხლის მქრობელი რაზმი არ მიუშვეს ცეცხლის ჩასაქრობად, როგორც კი გამოჩნდებოდნენ ცეცხლის მქრობელნი, ცრობაშად თოფებს დაახლიდნენ. ცეცხლმა გაანადგურა მთელი ქუჩები და უბნები. არეულობა მოახდინეს სანაღმო და სარტილერიო რაზმებმა და ფლოტის 12 ეკიპაჟმა. დანარჩენ რვა ეკიპაჟს არეულობაში მონაწილეობა არ მიუღია. აჯანყებულთა რიცხვს 14,000 კაცზე მეტს ანგარიშობენ. სულ კრონშტადტის მეციხოვნე ჯარები 22,000 კაცისაგან შესდგება. დღესაც განაგრძობენ ცეცხლის წაკიდებასა და დარბევას. კერძო სადგომთა მომეტებული ნაწილი ხელუხლებელია. მცხოვრებნი ფორტებში მირბიან, რადგანაც ფორტები აჯანყებულ ჯარების ხელში არაა. მოსაშველებლად მოსულ ესკადრონს დღეს დილას ნაპირზე გადმოსვლის ნება არ მისცეს, მაგრამ საღამოს მოახერხეს ფორტებთან გადმოსვლა დრაგუნთა ოთხმა ესკადრონმა, ომსკისა და ირკუტსკის ქვეითა პოლკებმა და გადმოიტანეს ალექსანდრე ნეველის ტყვიის მფრქვეველ როტის 16 ტყვიის მფრქვეველი. იქვე მოვიდა და დადგა ჯავშნიანი გემი „იმპერატორი ალექსანდრე III", სანაღმო ტრანსპორტი „ბუგი" და რამდენიმე ნაღმოსანი. დანარჩენი ჯარები ხვალ დილით წავლენ. არის ცნობა, რომ კაპიტანმა ესსენმა შეჰკრიბა მდაბიო მეზღვაურნი და სიტყვა წარმოსთქვა, რომლის შემდეგაც აჯანყებულებს გამოეყო ათასამდე მდაბიო მეზღვაური და მოისურვეს აჯანყებულ ამხანაგთა დაწყნარება. ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები ყველგან დაწყვეტილია. დღეს საღამოს პეტერბურგიდან კრონშტადტში გაიგზავნა რამდენიმე ბატარეა სრულის საომარის წესრიგითა და სურსათ-სანოვაგით.

კრონშტადტი, 28. აჯანყების ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ კრონშტადტის ეკიპაჟებში გადაიყვანეს 400-ზე მეტი მდაბიო მეზღვაური, რომელთაც სხვა ქალაქებში ყოფნის დროს აჯანყებაში მონაწილეობა მიეღოთ.

დეკანოზი იოანე კრონშტადტელი დღეს დილით წავიდა კრონშტადტიდან. 27 ოქტომბერს მთელი ღამე ჩრდილოეთ ბულვარზე საშინელი სროლა იყო ორსავე მხრივ. ამ ბულვარის მახლობლად ნავთსადგურია. რათა ნავთსადგურისთვის ცეცხლი არავის წაეკიდებინა, ჯარები ესროდნენ ყველას, ვინც კი ბულვარზე გამოჩნდებოდა. დღეს დილით პეტერბურგიდან მოვიდნენ პავლოვის და პრეობრაჟენსკის პოლკები. ყველა ქუჩები ჯარს უჭირავს. აჯანყებულნი გამაგრდნენ ფლოტის ეკიპაჟების სადგომში. მთელი ქალაქი შიშის ზარს შეუპყრია. დარბევის დროს სძარცვავდნენ და იკლებდნენ მხოლოდ ხულიგანები. მეზღვაურები ესროდნენ.

ტამბოვი, 28. ხმები ტამბოვში მომხდარ დარბევის შესახებ სიმართლეს მოკლებულია. ქალაქში და მაზრაში მშვიდობიანობაა. კირსანოვის მაზრაში იყო მოძრაობა აგრარულ ნიადაგზე, იქ ჯარები გაგზავნეს

ვილნა, 28. ბოროტ-მოქმედმა, რომელმაც გუშინ ყუმბარა გადაისროლა, გამოაცხადა, ჩემი გვარი ნეველსკიაო. მოკლულია ისპრავნიკის თანაშემწე ემელიანოვი, დაჭრილია მანცევიჩი, სავადმყოფოში რომ მიიყვანეს, გარდაიცვალა.

სარატოვი, 28. რკინის გზის სახელოსნოებსა და დეპოში გაფიცვა შესწყდა. საქონლის მატარებლის მიმოსვლა დღეიდან დაიწყო.

ლონდონი, 28. „ტაიმსი" არჩევს რუსის მთავრობის ცნობებს და ადიდებს გრაფ ვიტტეს მამაცობას, რომელიც გაბედულად სიმართლეს გამოსთქვამსო. გაზეთი ურჩევს ზოგიერთ უიმედო მოხელის გადაყენებას და ამბობს, გრაფ ვიტტეს, რომელმაც ომი გამოუცხადა რეაქციონერებს, რეფორმების მომხრეებმა მხარი უნდა დაუჭირონო.

ჩიტა, 27. 26 ოქტომბერს, საღამოზე საქონლის მატარებელი დაეჯახა სანიტარულს. მოკლულია 8 ჯარის კაცი, დაჭრილია 9 მძიმედ, 7 მსუბუქად.

ყაზანი, 28. გაფიცვამ ორი კვირა გასტანა. გაზეთები არ გამოდიან. სტამბების პატრონნი არაფერს არ უთმობენ ასოთ ამწყობებს.

ლონდონი, 28. „პელ-მელ-გაზეთი" აღნიშნავს; რომ ბიუროკრატია რუსის საზოგადოების მანქანაა. მისი ცვლილება თანდათან უნდა მოხდესო. შეიძლება სამსახურიდან ზოგიერთები დაითხოვონ, ხოლო ასობით მოხელეების სამსახურიდან დათხოვნა შეუძლებელიაო.

მოსკოვი, 28. შესდგა ერობის კრება დამშეულთა დახმარების აღმოსაჩენად.

კიევი, 28. სუხომლინოვმა მიმართა ადგილობრივ მცხოვრებთ, დამშვიდდით, მუშაობას დაუბრუნდით და ყოველ გვარ საშუალებას მივიღებ, რომ დარბევა და ძარცვა გლეჯა აღარ განმეორდესო.

პეტერბურგი, 28. 27 ოქტომბერს დაბრუნდა საზღვაო მინისტრი, 28-ს კრონშტადს გაემგზავრა.

კრონშტადტი, 28 აჯანყებულნი ჩაიკეტნენ საზღვაო ყაზარმებში. ქალაქში ყველგან ჯარებია. დილით მოვიდა გვარდიის საარტილერიო ბატარეის ორი ეშელონი 8 ზარბაზნით, პავლოვის პოლკის ორი ბატალიონი 2 ტყვიის-მფრქვეველით.

პარიზი, 28. „მატენი" გენერალ ტრეპოვის სამსახურიდან გადაყენებას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს და სურვილს გამოსთქვამს, რომ ახლა კი ხალხი ნდობით მოეპყრას მთავრობას, რათა რუსეთში რაც შეიძლება მალე მშვიდობიანობა დამყარდეს.

ლონდონი, 28. ბალფურმა ჰილდჰოლში სიტყვა წარმოსთქვა გარეშე პოლიტიკის თაობაზე. რუსეთი,—სთქვა ორატორმა,—ყველას ყურადღებას იწვევს იმ მოძრაობით, რომელიც მიმართულია თვითმმართველობის შემოსაღებად. არა მგონია, დიდბრიტანიაში მოიძებნებოდეს ისეთი კაცი, რომელსაც არა სურდეს ამ მოძრაობის სრული წარმატება და გამარჯვება, არა სურდეს, რომ ამ მოძრაობას, რომელიც—თუ გამარჯვების ნაყოფი გამოიღო—გააბედნიერებს მრავალ მილიონ ხალხს, ასცდეს საშინელ ეპიზოდებს, რომლებმაც შავის ძაძით შემოსა მისი დასაწყისი. დიდბრიტანია 10 წელიწადია, მთელის თავის ძლიერებით სცდილობს, თავიდან აიცილოს უთანხმოება რომელსამე გარეშე სახელმწიფოსთან რაც კი შეგვიძლიან, ვცდებით, რომ სასურველი დაბოლოვება მივსცეთ სამედიატორო სასამართლოს საქმეს. 16 შემთხვევა იყო სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართვისა. წინად დიდ-ბრიტანიას აბრკოლებდა მიჯნების განუსაზღვრელობა ზოგიერთ ახალშენებში და ამ დაბრკოლებას უფრო აშფოთებდა საფრანგეთთან, გერმანიასთან, პორტუგალიასთანა და ამერიკასთან ურთიერთობა. ამჟამად საზღვრებზე ყოველივე დავა გათავებულია. კულტურულ ქვეყნებისათვის დამაბრკოლებელ მიზეზებად ითვლება რამდენიმე სხვადასხვა სახელმწიფოთ კორეიდან მაროკომდე. ამ მხრივ მშვიდობიანობის დაცვა უზრუნველყოფილია სხვა კულტურულ ქვეყნებთან შეთანხმებით. მშვიდობიანობის დარღვევის შიში მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, თუ რომელიმე სახელმწიფომ მოინდომა თავის სამფლობელოს გაფართოება და მეზობელ სახელმწიფოს დაჩაგვრა, მის შეურყეველ უფლებათა დარღვევა. ამნაირი უბედური შემთხვევა ევროპაში მოსალოდნელი არაა და მიტომ შეგვიძლიან დამედებული ვიყოთ, რომ ზავი ხანგრძლივი იქნება, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის მაინც მზად უნდა ვიყოთ და ბუდს ხელი არ უნდა დავიკრიფოთ,—დაამთავრა სიტყვა ბალფურმა.

კრონშტადტი. საზღვაო გამნდაში ზოგიერთი აჯანყდა, ბევრია მოკლული და დაჭრილი. გამნდებმა ხელში ჩაიგდეს თოფები, პატრონები და ტყვიისმფრქვევლები. ზოგან ქვითკირის სახლები და დუქნები იწვის. მომავალი გემები პასსაჟირებითაა სავსე მატროსები მთვრალნი არიან. გუბერნატორის და კომენდანტის სახლს ტყვიის-მფრქვევლებით იცავენ. მაღაზიები დაკეტილია. საათებისა და სხვა ოქრომჭედლების მაღაზიები გაძარცულია.

ჰელსინგფორსი, 27. „გუვუდსტადს ბლადეტის" სიტყვით კუოპიოს გუბერნატორს, რომელიც აქამდე იძულებული იყო ქალაქს მოშორებოდა, ახლა შეიძლება მიეცა ისევ უკან დაბრუნდეს.

რიგა, 27 ოქტომბერი. გუშინდელ არეულობების გამო ყველა სასწავლებლები უვადოდ დაიკეტა.

ეკატერინოდარი, 27. 27 პოლიტიკური დამნაშავე განათავისუფლეს.

ვილნა, 27. დროებით ჩამოვარდნილი მშვიდობიანობა შემდეგის შემთხვევით დაირღვა. დღეს გუბერნატორის სახლთან, გრაფ პალენის ნახვის შემდეგ, გარედ გამოსულ პოლიციის ზოგიერთ მოხელეებს ყუმბარა ესროლეს. ყუმბარის ნატეხით მოკლულ იქმნა ოშმიანის ისპრავნიკის თანაშემწე ემელიანოვი და მძიმედ დაიჭრნენ პოლიცმეისტერი კლიმოვიჩი, ბოქაული ზავეროპული, შემთხვევით გამვლელი უცნობი და იქვე მდგარი მეეტლე; მსუბუქად დაიჭრნენ ბოქაულის თანაშემწე ვიხოდცევი და გაკაწრა ბოქაული პონომარევი. ყუმბარა ორმა კაცმა გადააგდო სალდათებმა და მეეტლეებმა ერთი დააპატიმრეს.

პეტროპავლოვსკი, 27. რკინის გზის მუშების უმეტესობა სამუშაოს დაუბრუნდა. თხოულობენ გაფიცვის მეთაურების მოშორებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამაგიეროს ემუქრებიან.

ვარშავა, 37. რკინის გზაზე მომუშავეებმა გადასწყვიტეს გაფიცვის განგრძობა.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. გლეხთა კავშირი აშკარად გამოვიდა თავის სამოქმედო პროგრამით, როგორც კანონიერი ორგანიზაცია. კავშირს წევრები ყოველ დღე ემატება. იანვრის პირველ რიცხვებში განზრახულია მოახდინონ სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირების წარმომადგენლების კრება.

კიევი, 27. კიეველთა შორის გავრცელდა წერილები და კიევო-პეჩორის ლავრის ვითომდა ერთის მოხუცის ლოცვა-კურთხევა და მცხოვრებთ ერთ ნაწილს მეორეზე აქეზებენ. ჩიგირინის ეპისკოპოსი პლატონი უარჰყოფს ამ სულელურს ხმებს და ამტკიცებს: წერილი ვიღაც ბრიყვისაგან არის დაწერილიო.

პეტერბურგი, 27. უმაღლესის რესკრიპტით, სახელმწიფო დაცვის თავმჯდომარეს გენერალ-ადიუტანტს, კავალერიის გენერალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ებოძა გვარდიისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარ-სარდლობა და თან გენერალ ადიუტანტის წოდებით დატოვებულ იქმნა სახელმწიფო დაცვის თავმჯდომარედ.

უწმიდეს სინოდის სასოფლო სამეურნეო გამგეობის დირექტორი ოსტროუმოვი უწმიდეს სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგად დაინიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი პროექტი შეიმუშავა კავშირთა თავისუფლების შესახებ: პროექტი დაფუძნებულია „გამოცხადებითი წესზე",

ნიუ იორკი, 28. ამერიკის ჟურნალ-გაზეთობა სრულის ნდობით იხსენიებს რუსეთის მთავრობის მოქმედებას რეფორმების შემოსაღებად. „ნიუ იორკ-ტაიმსი" სწერს, რომ გრაფ ვიტტეს მოღვაწეობა დიდია. საჭიროა ყველა პარტიები ეხმარებოდნენ მას. გაზეთი დამედებულია, რუსეთი მოთმინებას იქონიებს და რუსეთის რევოლუციონერები სიტყვა „რევოლუციაში" ასო „რ"-ს გამოსტოვებენ.

სოფია, 28. განსვენებულ გარაველოვის გაზეთი „პრეპორეცი" სწერს: რუსეთის ხალხმა შეიძინა ყველაფერი, რის წართმევა შეიძლებოდა მთავრობისათვის. უნდა ვუცადოთ, სანამ იგივე ხალხი არ განაგრძობს დაწყებულ საქმეს. გაზეთი „მირი" იმედოვნებს, რომ განახლებული რუსეთი სამუდამოდ უზრუნველ ჰყოფს სლავიანთა მიდგმის დიდებას.

პეტერბურგი, 28. საერობო მოღვაწე შიპოვი ვიტტესთან გაგზავნილ წერილში თანაგრძნობას აცხადებს გრაფის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში დასახელ პროგრამაზე, მაგრამ სახელმწიფო კონტროლიორის მაღალ თანამდებობაზე მაინც უარს ამბობს იმ მიზეზით, რომ კაბინეტში საზოგადო მოღვაწეების ჩარიცხვას მხოლოდ მაშინ ექმნებოდა მნიშვნელობა, როცა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთა წარმომადგენელთაც, საერობო და ქალაქების მოღვაწეთაც მიეღოთ მონაწილეობა, წინად შემუშავებულის სამოქმედო პროგრამით. ახლა კი აშკარად აღმოჩნდა, რომ თვით მემარცხენე ჯგუფებშიაც სხვადასხვა საერობო მოღვაწენი უარს აცხადებენ მონაწილეობის მიღებაზე. შემდეგ შიპოვი თავისთავს სახელმწიფო კონტროლიორის საქმეში უძლურად ჰრაცხს, მაგრამ მაინც იმედს იძლევა დახმარება გაუწიოს ვიტტეს სათანადო კითხვების გარკვევა-გადაწყვეტამდე. მანუხინი და გრაფი ლამზდორფი მინისტრებად რჩებიან, ამისთვის შეიძლება მინისტრთა კაბინეტი შევსებულად ჩაითვალოს, მხოლოდ ფინანსთა და სახალხო განათლების მინისტრების ვაკანსიაა კრონშტადტში სამხედრო წესი უნდა გამოაცხადონ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა", ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна".

(20—3)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.